№ 49
ოთხში,
29 ი

ცნობის ფურცელი

№ 2849
ოთხშაბათი,
29 ივნისი

ფასი: ... წლიწადში—8 ... თვეში ... —50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწ. და დასაბეჭდ. განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირი მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონ № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა ივნ. 30-ს, ხუთშაბათს, კალოუბნის ეკკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ტფილისის სამხედრო ოლქის სასამართლოს მდივნის თანაშემწე ყოფილის ადვორნი სოვეტნიკის
ევგი სოლომონის ძის ელიოზიშვილის
სულის სახსენებლად. წირვის დასაწყისი—დილის 10 საათზე. (1—1)

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოზის ხიდი, № 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგ. ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ სეზონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაც. ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზად. ფასი ხელ-საყრელია.
შეუვაჭრელად. (0—46)

იმერეთის გაბრიელის სახელობის საქალებო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო, თანახმად თავის დადგენილებისა, ამით აცხადებს ზემო აღნიშნული სასწავლებლის ქალების მშობელთა და მზრუნველთა საყურადღებოდ: 1) კლასიდან კლასში გადასაყვანი და სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დაიწყება 16 აგვისტოს და გასტანს 6 ენკენისთვემდე; 2) ეპარქიების და საერო სკოლების მოწაფენი, რომელთაც ჯერ შემოუტანელი აქვთ მიმდინარე სამოსწავლო წლის მეორე ნახევრის სწავლის ფული, ვალდებულნი არიან ფული ეგზამენების წინ წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში სასწავლებლიდან დათხოვნილ იქნებიან; 3) საგნებში და მოხდება სრულის პროგრამით. (2—1)

ახალი ბუფეტი
„არარატი"
(ავჭალის ქუჩისში, სადაც ავჭალის ვაგონების გზა უთხის სახლი, № 38, ს. არუთინოვისა).
სრულიად ახლად მოწყობილ ბუფეტში მზადდება ევროპიული და აზიური საჭმელები. ყველა ახალი და საუცხოვო. სადილ-ვახშმისთვის ხელ მისაწვდენი. საუკეთესო კახური ღვინოები, ცოცხალი და სხვა. სადილის ფასი: ორი თავი საჭმელი, ერთი ჩაი და ერთი ჭიქა ღვინო ან ლუდი [illegible] კაპ.; სამი თავი საჭმელი, 1/2 ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და 5 კაპ.
(ივ.—6.— პატივის ცემით ვანო.

რესტორანი ბაღით
„კაკაზი"
(მეტეხი ფუნიკულერიდან)
მამა-დავითისკენ, გრილათ მოწყობილი კაბინეტებით.
მზადდება ევრ. და აზიური სადილი:
ორი ბლუდი, არაყი ან ღვინო . 50 კ.
სამი ბლუდი, ღვინით . . . . 75 კ.
ოთხი ბლუდი ღვინით ან რუმკა არყით 1 მ.
დრო სადილისა 1-თიდან 5-მდე. მიიღება ყოველი ზაკაზი.
ყოველ დღე საღამოს საათიდან 11 საათამდის დაუკრავს მუს. კავკ. მსროლელთა ბრიგადისა. [illegible] კარელ ლემი.
რესტორანის პატრონი ტ. ი. ფარჯანიძე. (15—244—13)

ქუთაისის რეალურ სასწავლებლის მთავრობა აცხადებს, რომ VI და VII კლასებში შესაფერებად ნამყოფთ, აგრეთვე რეალურ სასწავლებლის დანარჩენ კლასების მოსწავლეთ ეგზამენი დაიჭირონ ყველაში და აგრეთვე განმეორებითი ეგზამენი ზოგიერთ საგანში, რომელშიაც გამოცდის დროს ცუდი ნიშნები. ეგზამენები მოხდება აგვისტოს 20 და 20. ვისაც სურს გამოცდაზე გასვლა, თხოვნა უნდა შემოიტანოს ეხლ... (3—6.—2) დირექტორი ვ. ბაბანსკი

ექიმი
ვ. ს. ...შვილი
მიიღებს თვალების ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და ... ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 1

ექიმი
გ. ა. ...ლინი
მადათოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის ეკკლესიის პირდაპირ. ყოველ დღე იღებს ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფ. 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 (30—6.—32)

ივანე ვ. ...ნიშვილი
ნიკოლოზისა (№ ...) (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დაბალი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს ... და საღამოს 5—8. კვირა-უქმით 10—1-...

ექიმი
ნ. ტ. მულინი
ყელის, ცხვირის და ყურის ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე, დილით 12—2 და საღამოს 6—8 საათამდე. სუდების ქ. № 26. (20—6.—17)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2-მდე და 5—7-მდე. კვირაობით მხოლოდ 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივანისა. (30—26)

თავრობის განკარგულებანი და ოფიციალური ცნობანი *)

I

მთავრობის განკარგულება 27 ივნისს. „უმაღლესის ბრძანებით, ამა ივნისის 27-ს, ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და საჭიროდ სცნო:

1) ქალაქ ტფილისსა და ტფილისის მაზრაში შემოღებულ იქმნას საომარ დროის წესები თანხმად კანონთა კრებ. მე-II ტ. 23 მუხლის დამატებისა და გუბერნ. საზოგ. წესდებისა 1892 წ. გამოცემისა;

2) ამენიჭოს მე ის განსაკუთრებული სამხედრო და სამოქალაქო უფლება-მოვალეობანი, რომელნიც ეკისრება სამხედრო მმართველთ სახელმწიფო წეს-რიგის დაცვისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დამყარებისათვის იმ ადგილებში, სადაც საომარ დროის წესებია შემოღებული და

3) ნება მომეცეს მე გადავცე ჩემი უფლება-მონდობილობანი, რომელნიც მეენიჭება ზემოხსენებულ წესების მე-19 მუხლის თანახმად, განსაკუთრებით ამისთვის არჩეულ პირს იმ პირობით-კი, რომ მე უფლებას ვიტოვებ გავაუქმო, როცა საჭირო იქნება, მისი განკარგულებანი, სახელმწიფო წეს-რიგის დაცვის შესახებ გამოცემულნი.

ვაცხადებ ამა უმაღლეს ნებას საყოველთაოდ და წინადადებას ვაძლევ კავკასიის არმიის 1-ლ კორპუსის უფროსს გენ.-ლეიტენანტს ოეცკევიჩს დაუყოვნებლივ შეუდგეს ტფილისისა და ტფილისის მაზრის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობის აღსრულებას".

მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ნამესტნიკი კავკასიაში გენ.-ადიუტანტი **გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.**

II

ოფიციალური ცნობა ტფილისში მომხდარ ამბებისა 20 ივნისიდან 28-მდე. 20 ივნისიდან ტფილისში დაიწყო საერთო გაფიცვა, რომელმაც 28-მდე გასტანა.

23, 24 და 25 ივნისს ტფილისის სხვა და სხვა ნაწილში ბოროტმოქმედთაგან გადაგდებულ იქმნა 5 ყუმბარა; ზოგი მათგანი გასკდა და რამდენიმე კაცი მოკლულ ან დაჭრილ იქმნა.

23 ივნისს, საღამოს მეცხრე საათზე, უცნობ ბოროტმოქმედმა საარტილერიო მოედანზე გადააგდო პეტარდა, რომელიც აფეთქდა და მსუბუქად დააშავა ორი ბავშვი. ხმაურობაზე თავიანთ ბინიდან გამოვარდნენ პოლტავის პოლკის ყაზახ-რუსები, რომელთაც ვიღაცამ მაშინვე ესროლა ყუმბარა; მაგრამ ყუმბარა ტალახში ჩავარდა და არ გასკდა. მეორე დღეს, საღამოს ექვსნახევარ საათზე, ყუმბარა გადააგდეს „სალდატსკი ბაზარ"-ზე, გრაფის ქუჩის კუთხეზე, ცარიელ სახლის მეორე სართულიდან. ყუმბარა გასკდა და მოხვდა იქვე დარაჯად მდგომ ყაზახებს; ერთი მათგანი ლუკმა-ლუკმა დაგლიჯა, მეორე (ნიკ. ბელიხ) მძიმედ იქმნა დაჭრილი თავსა, ზურგსა და ფეხებში; ეს ყაზახი იმავე ღამეს გარდაიცვალა მიხეილის საავადმყოფოში. გარდა ამისა ყუმბარის ნამტვრევებისაგან დაჭრილ იქმნენ: მძიმედ—მუშა ბაბა თემრაზოვი და მსუბუქად—მეეზოვენი გასიდ სადამატონი და პროკოფი მიხეევი; უკანასკნელი მეორე დღესვე გამოვიდა საავადმყოფოდან, ხოლო პირველნი ისევ ავად არიან. იქვე მოკლულ იქმნა ყუმბარისაგან ერთის ყაზახის ცხენი. გადარჩენილმა ყაზახებმა მაშინვე სროლა დაუწყეს ბოროტმოქმედთ, რომელნიც იმ სახლის სახურავზე ავარდნენ, რათა მახლობელ ეზოში გადამხტარიყვნენ და ისე დამალულიყვნენ; ბოროტმოქმედნი პოლიციამ დაატუსაღა.

იმავე საღამოს, რვა ნახევარ საათზე, ყუმბარა ისროლეს თათრების მოედანზე, ვორონცოვის ქუჩის კუთხეზე, სადაც იდგნენ: მე-6 ნაწილის ბოქაული გლებოვი, მისი თანაშემწე მორკოვსკი, უბნის ზედამხედველი ნიკვაძე და პოლიციელი. ყუმბარისაგან დაჭრილ იქმნა არა საშიშრად ბოქაული გლებოვი (უკვე რჩება კიდეც); მისი თანაშემწე მხოლოდ [illegible]; უბნის ზედამხედველი ნიკვაძე მძიმედ არის დაჭრილი ფეხში (პეტერბ. სააგენტოს ცნობა, ვითომ ნიკვაძე გარდაიცვალა კიდეც, ტყუილია); პოლიციელი უვნებლად გადარჩა. იქვე ეხლო პირებიც დაზარალდნენ. ვაჭარს ნაჯთიკოვს, რომელიც კრწანისის ბაღებიდან მოდიოდა ოჯახიურით, ყუმბარის ნამტვრევმა თეძო დაუმტვრია. იმავე საღამოს, საავადმყოფოში, ამ საბრალოს ძვლის 25 ნატეხი ამოუღეს ჭრილობიდან; მისი მდგომარეობა საეჭვოა. ოჯახიურის დანარჩენი პასაჟირები უვნებლად გადარჩნენ. მსუბუქად დაჭრილ იქმნა იქვე გზად მიმავალი ხარაზი მოხ. ტოროსიანცი, ხოლო მეორე—სერგო კიკნაძე—მძიმედ დაიჭრა მუხლის თავში. იქვე ახლოს იპოვეს ქარვასლაში დამალული უმაწვილი პეტროსა მახბატოვი, რომელიც ყუმბარისაგან დაჭრილიყო მძიმედ; უმაწვილი იმავე ღამეს გარდაიცვალა საავადმყოფოში.

იმავე საღამოს მესამე ყუმბარა გაისროლეს ავლაბარში, მაგრამ არ გასკდარა.

შაბათს, 25 ივნისს, საღამოს $6^1/_2$ საათზე, ავლაბარშივე, კახეთის მოედანზე, უცნობმა ბოროტმოქმედმა ორჯერ ესროლა რევოლვერი მე-7 ნაწილის უბნის ზედამხედველს ილიაძეს; ზედამხედველი მძიმედ არის დაჭრილი ზურგში. ყაზახი დაეწია ბოროტმოქმედს და ხმლით თავი მოსჭრა. როცა ეს დაინახეს ავლაბრის მცხოვრებლებმა ყაზახებს რევოლვერები დაუშინეს სახლის სახურავებიდან; ყაზახებმა თავის მხრით თოფები დაუშინეს, გაისროლეს 23-ჯერ. ამ სროლის დროს, სხვათა შორის, მოკლულ იქმნა ლაზარევის ქუჩაზე, სახლის ბალკონზე გამოსული ახალგაზდა ქალი ო. დ. იმხანოვისა, რომელმაც ეხლახან დაასრულა საექიმო კურსები და სახელმწიფო ეგზამენისათვის ემზადებოდა. რამდენიმე კაციც დაჭრილ იქმნა მსუბუქად, ხოლო ქ.-ბ. ჯაფარიძისა და ბ. გოგონაშვილი მძიმედ დაიჭრნენ და მიხეილის საავადმყოფოში გაიგზავნენ; პირველს ტყვია მუცელში მოხვდა, მეორეს თეძოში. იმავე საღამოს ყუმბარა გაისროლეს ოლღას ქუჩაზე, „მოსკოვსკი ნომრების" ახლოს; დაჭრილ იქმნენ: სიმონ ალავერდოვი—მარჯვენა ფეხში, ბენედიქტ მოდინსკი—ფეხში, ასლან მახმუდ-ოღლი—თავში (26 ივნისს გარდაიცვალა), მეეზოვე გასიდ ანტონოვი (იმავე დღეს გარდაიცვალა), პოლიციელი ივ. კოლომეიჩუკი (იმავე ღამეს გარდაიცვალა), პავლე დებელინი—მარცხენა ხელში, ავგუსტინა ოქონოვისა—მარცხენა ფეხში, თავის ნებით სამხედრო სამსახურში შესული ოქონოვი—მარჯვენა მხარში, პატარა ქალი ოქონოვისა—ზურგში, ნიკ. პოპოვი—ზურგში, დიმ. მიხაილოვი—ფეხსა და ზურგში და დავით გიდაშვილი—მუცელსა და მხარში. გარდა ამისა ბევრი დაშავდა, მაგრამ საავადმყოფოში არ გაუგზავნიათ და თავიანთ სახლებში წავიდნენ.

26 ივნისს, პოლიციამ აღმოაჩინა ყუმბარების საკეთებელი და საწყობი ადგილი ქალაქის მე-10 ნაწილში. გარდა ამისა ამავე დღეს დაპატიმრებულ იქმნა ქალიშვილი, რომელსაც სამი ყუმბარა უპოვეს.

III

ოფიციალური დეპეშა ქუთაისიდან 25 ივნისს. დღეს დილიდან დაიწყო გაფიცვა. დაკეტილია ყველა სავაჭრო დაწესებულება, ხორცის და მწვანეულობის დუქნები და საკონდიტროები. მეპურეებს შეიარაღებული დარაჯები მოუყენეს და ისე აცხობინებენ პურს. მექუდეები და მედროგეები არ მუშაობენ. სტამბები, ქარხნები და რკინის გზის სავაჭრო სადგური ვერ მუშაობენ. სამგზავრო მატარებლებიც ვერ გადიან. ქუჩებში ყაზახები და პოლიციელები დადიან. წეს-რიგი არ დარღვეულა.

IV.

ტფილისის ქალაქის და მაზრის მცხოვრებთ გუშინ, 28 ივნისს, მთავრობისაგან გამოეცხადა შემდეგი:

ა) საომარ დროის წესები ძალაში შედის: 1) ქალაქ ადგილას და აგრეთვე იმ ადგილებში, სადაც სასოფლო განცხადებას გამოაცხადებს, იმავე დღეს, რა დღესაც ეს გამოცხადდა; 2) სხვა ადგილებში ამის მეორე დღეს. ბ) სამოქალაქო უწყების პირნი, რომელნიც სამხედრო ნაწილს არ ეკუთვნიან, სამხედრო სასამართლოს გადაეცემიან და საომარ დროის კანონების მიხედვით დაისჯებიან შემდეგ შემთხვევებში: 1) როცა უჩენიან მთავრობის წინააღმდეგ არეულობას მოახდენენ და სახელმწიფოს ღალატებენ; 2) თუ განზრახ ცეცხლს წაუკიდებენ ან სხვა გზით გაანადგურებენ სამხედრო მოწყობილებას, იარაღს, სამხედრო სურსათ-სანოვაგეს; 3) თუ ბრძოლის რაიონში განზრახ გაანადგურებენ ან გააფუჭებენ წყლის მილებს, ხიდებს, ჭებს, აუზებს და ყოველგვარ სხვა მოწყობილებას, რაც ჯარს ეჭირვება სამოძრაოდ და სამოქმედოთ; 4) როცა განზრახ გაანადგურებენ ან გააფუჭებენ ყველა მოწყობილებას, რითაც მთავრობა სარგებლობს, სახელდობრ—ტელეგრაფს, ტელეფონს, რკინის გზას და სხვა ამგვარს; 5) როცა მოდარაჯეს ან ყარაულს დაეცემიან თავს, იარაღით წინააღმდეგობას გაუწევენ ჯარს ან მოდარაჯე რაზმებს ან პოლიციას. გ) გენერალ-გუბერნატორს და აგრეთვე იმას, ვისაც გენერალ-გუბ. თავის უფლებას გადასცემს, ნება აქვს: 1) გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი ყველა იმის გამო, რაც შეეხება წესრიგის დაცვის საქმეს; 2) ამ დადგენილებათა დარღვევისათვის ციხეში დაპატიმრებით (სამის თვით) ან ჯარიმის გადახდევინებით (სამი ათას მანეთამდე) დასაჯოს ყველა დამნაშავენი; 4) ადმინისტრაციის წესით გაარჩიოს ყველა ის დანაშაულობანი, რომელნიც კანონით სასამართლოს ექვემდებარება და რომელთა ჩამდენთ ამა წესების მე-2 მუხლში აღნიშნული სასჯელი უნდა მიესაჯოს; 6) სამხედრო სასამართლოს გადასცეს ყველა იმ ბოროტ-მოქმედებათა განხილვა, რომელნიც აღნიშნულია სისხლის სამართლის საზოგადო დებულებაში; დამნაშავენი ამ შემთხვევაში უნდა დაისაჯონ საომარ დროის წესების მიხედვით; 7) სამოქალაქო სასამართლოებს ჩამოართვას სხვა და სხვა დანაშაულობათა განხილვის უფლება იმ პირობით კი, რომ ასეთ დანაშაულობათა ანუსხვა საყოველთაოდ და წინდაწინვე უნდა გამოცხადდეს; 11) აკრძალოს ყველა საჯარო და სახალხო და საზოგადო ყრილობა-კრებანი; 12) გამოსცეს განკარგულება ყოველგვარ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულების დახურვის შესახებ განსაზღვრულ ვადით ან იმ დრომდე, სანამ საომარი მდგომარეობა არ იქმნება მოსპობილი; 13) შეაჩეროს და დახუროს ყველა მორიგი საზოგადო კრებანი წოდებათა, ერობათა და ქალაქის თვითმმართველობისა; ყოველ კრებას თავის შეხედულობით აღუნუსხოს ის საგნები, რომლის შეხება აკრძალულია; 14) შეაჩეროს თავის შეხედულობით რომელისამე გაზეთის გამოცემა იმ დრომდე, სანამ საომარი მდგომარეობა ძალაში იქნება; 16) აუკრძალოს ამა თუ იმ პირთ იმ ადგილებში ცხოვრება, სადაც საომარ დროის წესებია შემოღებული; 17) გადაასახლოს ესა თუ ის პირი იმპერიის შუაგულ ადგილებში, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს უნდა შეატყობინოს გაგზავნილის საპოლიციო ზედამხედველობის ქვეშ მიცემისათვის; უცხოელები კი საზღვარ-გარედ გაგზავნოს; 18) იმ დრომდე, სანამ საომარი წესები მოქმედობენ, სეკვესტრი დაადვას უძრავ მამულებსა და მოძრავ ქონებას და აგრეთვე შეკრას შემოსავალი, თუ ამ მამულის ან ქონება-შემოსავლის პატრონები ბოროტად ხმარობენ თავიანთ მამულსა ან შემოსავალს; 19) იმ დრომდე, სანამ საომარ დროის წესები მოქმედობენ, სამსახურიდან გადააყენოს ყველა უწყებათა მოხელენი (გარდა იმ მოხელეთა, რომელთაც პირველის სამის კლასის თანამდებობა აქვთ); აგრეთვე წოდებრივ, საერობო და საქალაქო თვითმმართველობაში არჩეული პირნიც.

---

*) გაზ. „კავკაზ"-ი № 159.

დეპეშებიდან

სრული ცხრა დღე შესრულდა, რაც ტფილისში საყოველთაო გაფიცვა მოხდა და გაზეთები არ გამოსულა. ამ ხნის განმავლობაში დეპეშებმა მრავალი საყურადღებო და დიდად საგულისხმიერო ამბავი მოგვიტანა. მკითხველებს გავაცნობთ იმას, რაც უფრო თვალსაჩინოა.

—

არეულობები ოდესაში. „პრავ. ვესტ."-ში ამ არეულობის შესახებ დაბეჭდილია: „რამდენიმე ხანი იყო, რაც ქალაქ ოდესასა და მის მაზრის სხვა ადგილებში მღელვარება ეტყობოდა მუშებს; ეს მღელვარება 12 ივნისს დაბოლოვდა მით, რომ სხვა და სხვა ფაბრიკებმა და ქარხნებმა აირჩიეს თავიანთი წარმომადგენლები და ამით ყრილობა გამართეს, რათა გადაეწყვიტათ საკითხი საერთო გაფიცვის გამართვის შესახებ. ამორჩეულთ რიცხვში, პოლიციის ცნობით, იყვნენ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ადგილობრივ კომიტეტთა წევრები, რისთვისაც ყრილობის ყველა მონაწილენი დაჭერილ იქნენ და ერთს დაჭერილთაგანს უპოვნეს წერილი სარევოლიუციო მებრძოლ დრუჟინის წევრის გილერჰოვიჩისა, რომელშიაც ცნობა იყო, რომ განზრახვა ჰქონდათ მოეკლათ ერთი ადგილობრივი ბოქაულთაგანი, რომლის გვარიც არის გამოცხადებული წერილში. მეორე დილას, მართლაც, პოლიციის ნაწილთან დაატუსაღეს ორი კაცი, რომელთაგან ერთმა, მონისმა, გადასცა მეორეს ორი რევოლვერი და ქაღალდი, საცა სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი ბოქაულს. შემდეგ, 14 ივნისს, ქუჩაში დაიჭირეს სოციალისტი-რევოლიუციონერი მარგულისი და მას, გაჩხრეკისას, წაართვეს 14 ლევორვერი პატრონებით, საღამოთი-კი—იმავე დღეს, მორდკა ციპკინმა, რომელიც გოროდოვოიმ დაიჭირა იმ წამს, როცა მას ბომბა მიჰქონდა და უნდოდა გადაეგდო იგი სობოროს მოედანზე მდგომ ჯარში, დააგდო მიწაზე და მოკლულ იქნა იმ პოლიციელთან ერთად, რომელიც მის დაჭერას სცდილობდა.

ზემოხსენებულ პირების დაჭერამ უკმაყოფილება გამოიწვია მუშებში, რომელთაც 13 ივნისს ჯგუფ-ჯგუფად იწყეს დენა გენის ქარხანასთან და, როცა პოლიციის ბოქაულმა წინადადება მისცა მათ დაშლილიყვნენ, მუშებმა ქვებით იფრინეს იგი. ამავე თხოვნით მიმართა მუშებს კაზაკთა სოტნის კამანდირმა, მაგრამ უკანასკნელი ცხენიდან გადმოაგდეს ქვებით და დააშავეს. კაზაკთა სოტნის კამანდირმა რამდენჯერმე გააფრთხილა ხალხი, სამის სიგნალის შემდეგ, ვუბრძანებ გესროლონ; მაგრამ მუშები თავისას არ იშლიდნენ და მეორე სიგნალის შემდეგ სროლაც-კი გაისმა მეზობელ სახლების სახურავებიდან. მაშინ, სოტნის კამანდირის განკარგულებით, ჩამოქვეითდა ორმეტი კაზაკი და თოფები დაახალა ხალხს, მოჰკლა ორი და დასჭრა ერთი მუშა. დღის განმავლობაში ქალაქში დადიოდნენ მუშები ჯგუფებად და ხან დაიწყებოდა, ხან შესწყდებოდა ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში არეულობა, რასაც, ზოგჯერ, ფაბრიკების ძალად დაკეტვინება, ქუჩებში ხარიხების გამართვა და ცხენის რკინის გზის ვაგონების გადაბრუნება მოჰყვებოდა: ესროდნენ აგრეთვე პოლიციელებსაც, რომელნიც იძულებული იყვნენ ამნაირივე პასუხი გაეცათ. ამასთან დასჭრეს ხუთი გოროდოვოი. იმავე დღის საღამოს გაფიცული მუშები ძლიერ გაკადნიერდნენ: ქალაქ გარედ, ორ ადგილას, დაიკავეს რკინის გზის ლიანდაგი, ცეცხლი გააქრეს ოთხ ორთქლ-მავალზე, დააკავეს ხალხის მატარებელი, გამორეკეს იქიდან ხალხი და ვაგონების ფანჯრებში მინები ჩალეწეს. ღამისას ხალხი დაიფანტა და რკინის გზას ორი როტა სალდათი დაუყენეს მცველად. ამ ორის დღის განმავლობაში თუმცა-კი გამოიწვიეს ჯარი, მაგრამ მათ იარაღი არ უხმარიათ და წესიერებას პოლიცია, კაზაკები და სამხედრო პატრულები იცავდნენ.

ქალაქის მოძრაობასთან ერთად, ამ უკანასკნელ ხანებში, აგრარული მოძრაობაც განვითარდა ოდესის მაზრაში. მაგრამ ძალადობა პიროვნებასა და მემამულეთა საკუთრებაზე არ უხმარნიათ აქამდე; არეულობა სოფლებში იმაში იხატება, რომ ითხოვენ ხელ-ფასის მეტის-მეტად მომატებას, ეკონომიებში სამუშაოს მხოლოდ ადგილობრივ მუშებისთვის დარიგებას და აძევებენ მოსულ მუშებს; მაგრამ, როგორც თვით ოდესაში, ისე სოფლებშიაც მოძრაობას უძღვებიან გარედან მოსული პირები.

ოდესაში მუშების მოძრაობას, რომელიც 15 ივნისს აშკარა აჯანყებად გარდაიქცა და რომელსაც მოჰყვა მკვლელობა, ძარცვა-გლეჯა და ცეცხლის წაკიდება, ხელს უწყობდა შემდეგი სამწუხარო, სამარცხვინო და რუსეთის ფლოტის მატიანეში უმაგალითო ამბავი, რომელსაც, მართალია, პირდაპირი დამოკიდებულება არ აქვს ოდესის არეულობებთან. ამა დღის დილის ოთხ საათზე ტენდეროვის ყურედან მოვიდა ოდესის რეიდში შავის ზღვის ესკადრის ჯავშნოსანი „კნიაზ პატემკინ ტავრიჩესკი", რომლიდანაც შლიუპკით ჩამოუშვეს მოკლულ მატროსის გვამი. მიცვალებული მატროსებმა ნაპირზე დაასვენეს და გულზე ქაღალდი მიაკრეს შემდეგის ზედ-წარწერით: „მატროსი ომელჩუკი მოჰკლა აფიცერმა ტყუილ-უბრალოდ, მხოლოდ იმისთვის, რომ მან განუცხადა, საჭმელი არ ვარგაო; ჯავშნოსნის ყველა აფიცრები დახოცილი არიან კამანდის მიერ, და ზარბაზნებს დავუშენთ ქალაქს, თუ პორტის მთავრობამ გაჰბედა მიცვალებულის აღება ამ ადგილიდან ან და გემთან მოახლოვება"-ო. იმ ადგილისაკენ, საცა მიცვალებული ესვე-

ნა, აუარებელი მუშა გაემართა ქალაქიდან, მათ თანდათან უფრო მეტი მღელვარება ეტყობოდათ, მეტის-მეტად აგიტატორების მიერ მიცვალებულის გვამთან წარმოთქმულ მგრძნებარე სიტყვების ზედგავლენით; ეს აგიტატორები სიტყვებს საგანგებოდ დამზადებულ მაღლობიდან ამბობდნენ, ისინი ურჩევდნენ ხალხს, რომ ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და მივაღწიოთ რევოლიუციონერების მიერ აღნიშნულ მიზანსო. როცა მკვლელობის გამოსაძიებლადა და ჩვენების ჩამოსართმევად შლიუპკით მივიდა პორტის უფროსთან ერთად ადესის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი, მატროსებმა მუქარითა და ლანძღვით გამოისტუმრეს იგი.

ერთ ცოცხლად დარჩენილ აფიცრისა და ღამით გემიდან წყალში გადამხტარ და ნაპირზე ცურვით გამოსულ მატროსის ჩვენებით, „კნიაზ პატემკინ“-ზე, საერთოდ, შემდეგი ამავი მომხდარა.

ჯავშნოსანი გამოსულა სევასტოპოლიდან კვირას, 12 ივნისს; მას კამანდირათ პირველ რანგის კაპიტანი გოლიკოვი ჰყოლია; გემი წამოსულა ტენდეროვის ყურესკენ, რათა იგი სროლაში ვარჯიშობა გაემართა მასთან მყოფ ნაღმოსან, № 267-ისთან ერთად, რომელსაც ლეიტენანტი კლოდტ ფონ-იურგენსბურგი უფროსობდა. სამშაბათს, 14 ივნისს, გემის კამანდამ უარი განაცხად ბორშჩის ჭამაზე, რადგანაც ადესიდან მოტანილი ხორცი, მათის აზრით, არ ყოფილა კარგი. კამანდირის განკარგულებით კამანდა შეჰყარეს ერთად და უფროსმა აფიცერმა, მეორე რანგის კაპიტანმა გილიაროვსკიმ, უბრძანა, წინ წარმომდგარიყვნენ ის მატროსები, რომელნიც უარს არ ამბობდნენ საჭმელზე, ე. ი. მონაწილეობას არ იღებდნენ პროტესტში, რომელიც ასე უკმეხად იყო განცხადებული; როცა წინ წამოდგა უმეტესობა კამანდისა, აფიცერმა უკმაყოფილოთა სახელისა და გვარის ჩაწერა იწყო. ამ წუთით ისარგებლა უმცირესობამ, ხელი დაავლეს თოფებს და ტენა დაუწყეს პატრონებით, რომელნიც მათვე ჰქონდათ. აფიცერმა უბრძანა ყარაულებს, ესროლეთ მეამბოხეთო, მაგრამ მისს ბრძანებას ყურიც არ ათხოვეს; მაშინ ამ აფიცერმა ხელიდან გამოსტაცა იქვე ახლოს მდგომ ყარაულს თოფი, ორჯელ თუ სამჯერ ესროლა ერთ მატროსს და სასიკვდილოდ და სჭრა იგი. ამის შემდეგ აჯანჯებულთ თოფები დაახალეს აფიცრებს, გამოანახეს რა ისინი ცალ-ცალკე თვითეული გემის სხვა და სხვა კუთხეში. ამნაირად მოჰკლეს სხვათა შორის, ჯავშნოსნის კამანდირიც. ზოგიერთი აფიცერი ზღვაში გადახტა, მაგრამ აქაც სიკვდილმა მოუსწრო მათ, ვინაიდან წყალშიაც ესროდნენ, როგორც მაყურებლები ამბობენ.

კამანდამ დახოცა ჯავშნოსნის კამანდირის გარდა, უფროსი აფიცერი გილიაროვსკი, ლეიტენანტები ნეუპოკოევი, ტუნი, მიჩმანი გრიგორიევი მეოთხე, პრაპორშჩიკი ლივენცოვი, ექიმი სმირნოვი და ოცდაათამდე კამანდაში მოსამსახურე. დანარჩენებს, მათ რიცხვში კამანდას ნაღმოსნისას, რომელსაც პატარა ზარბაზნები ესროლეს ჯავშნოსნიდან, სიკვდილით დაემუქრენ შეამბოხენი ურჩობისთვის და ცოცხალი აფიცრები დაატუსაღეს. ჯავშნოსანზე დაარსეს კომიტეტი 20 მატროსისაგან, რომელმაც გემის უფროსობა იკისრა და დაადგინა ადესაში გამომგზავრება, რომლის რეიდს მოადგნენ კიდეც საღამოს 14 ივნისს; 15 ივნისს დილით კი ნაპირისკენ გამოისტუმრა მატროსის გვამი.

16 ივნისს ადესის რეიდში შევიდა პორტის გემი „ვეხა“, რომელმაც, პატემკინის სიგნალის თანხმად, ღუზა გადააგდო ჯავშნოსანთან ახლო. „ვეხ“-ის კამანდირმა არაფერი არ იცოდა აჯანყების შესახებ და ის გაემართა „პატემკინ“-ისკენ, რათა რაპორტი მიეცა მის კამანდირისთვის, როგორც უფროსისთვის რეიდზე. „ვეხ“-ის კამანდირს იარაღი აჰყარეს, როგორც რომ ავიდა იგი ჯავშნოსანზე და, სხვა აფიცრებთან ერთად, ძალით გადაიყვანეს ნაპირზე. ადესაში „პატემკინ“-მა დაიჭირა ორი გემი ნახშირით, რომელნიც კერძო პირების საკუთრებას შეადგენდნენ და რომელნიც დაუტვირთეს მას სამასმა მუშამ პორტისამ. ამავე დროს აჯანყებულთ აიძულეს პორტში და კერძო გემებზე მომუშავენი თავი მიენებებინათ მუშაობისთვის. ჩქარა შესწყდა პორტში ნორმალური მოქმედება და იგი მეამბოხეთა ხელში გადავიდა.

სამხედრო გემზე მომხდარმა აჯანყებამ კარგი ნიადაგი მოუმზადა რევოლიუციონერებს მიზნის მისაღწევად მასსაზე მოქმედებისთვის და მათ მოხერხებულათ ისარგებლეს ამ სამწუხარო შემთხვევით, რათა გაევრცელებინათ არეულობა მთელს ქალაქში. აგიტატორები მგრძნებარე სიტყვების წარმოთქმის გარდა, მიდიოდნენ შლიუპკებით ჯავშნოსანთან და არწმუნებდნენ მეამბოხეთ, რომ ადესის გარნიზონის ყველა ჯარებმა აიყარეს იარაღი და შავის ზღვის ესკადრის ყველა გემებმა მხარი დაუჭირეს „პატემკინ“-საო. დამსწრე აფიცრის სიტყვებით, ნამეტნავად მოქმედებდა სადმირალოს შენობაში სჯა-ბაასის დროს ორი მოსწავლე ახალ-გაზრდა.

ანარქისტების მიერ პორტის მუშების წაქეზებამა და კამანდის აჯანყებამ ჩქარა ნაყოფიც გამოიღო. თუმცა-ღა ამ დროს უკვე ადესის სამხედრო ოლქის ჯარების კამანდირს ჰქონდა გადაცემული ქალაქის უფროსობა, მაგრამ მოზღვავებულ და აბობოქრებულ ხალხის შეკავება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან, ჯარებს რომ გაესროლათ, მაშინვე ჯავშნოსანი ზარბაზნებს დაუშენდა მათ. პორტი ხელში დარჩა ბრბოს, რომელიც დაერია და განურჩევლად დაუწყო ყველაფერს ძარცვა: არ დაინდეს არც პაკგაუზები, არც კერძო საწყობები, არც პორტის შენობები და გემები, ზღვაში ისროდნენ საქონელს, ამტვრევდნენ ბოჭკებს და სვამდნენ ღვინოს. დაბინდებისას ცეცხლის წაკიდება იწყეს: დაიწვა თითქმის მთელი ტერიტორია პორტისა, რადგანაც აჯანყებულთ არ მიუშვეს ცეცხლის მქრობელები. თანახმად ადგილობრივ მთავრობის მოხსენებისა, ცეცხლისაგან განადგურებულია რკინის ორი პაკ-გაუზი გადამცემ-გადმომცემი სადგური ზღვაოსნობისა და ვაჭრობის რუსის საზოგადოებისა, სააგენტო და პაკ-გაუზი დუნაის ზღვაოსნობისა, შპალებისა და ფიცრების საწყობი, ელექტრონის სადგური, სადგური ადესა-პორტი, პორტის კაპიტნის სამმართველო პაკ-გაუზები რუსისა და რუსეთის საზოგადოებებისა და კოშკინისა, გემების კანტორის განყოფილება, სანახშირე საწყობის ნაწილი და ყველა შენობები სავარჯიშო ნავთსადგურისა. ამას გარდა დაიწვა ოცი ვაგონი, ორი გემი რუსეთის საზოგადოებისა, ერთი რუსისა და 3 კერძო. რკინის გზის პაკ-გაუზებში ფანჯრები ჩალეწილია და გაძარცულია ყველა ნივთები. საწყობებისა და პიკგაუზების ქონება დაიტაცეს და ქალაქში წაიღეს. ცეცხლში დაიწვა, თანახმად მოხსენებისა, ბევრი მეამბოხე და მძარცველი. ამავე დროს აგიტატორები სცდილობდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, ხალხის იარაღი ჯარებისა და პოლიციის წინააღმდეგ მიექციათ. ღამის განმავლობაში მეამბოხეთ რევოლვერების სროლით რამდენჯერმე მიიწიეს ჯარებისაკენ, მაგრამ ყოველთვის იძულებული შეიქნენ უკან დაეხიათ, რადგანაც ჯარი თოფებს ახლიდა. ყუმბარით დაიჭრა 6 სალდათი, მოკვდა ერთი; ჯერ არ იციან, რამდენია მეამბოხე მოკლული და დაჭრილი; რამდენიმე ასს კაცს აღემატება. დაწვრილებით ცნობებს გამოაქვეყნებენ.

მეორე დღეს, 16 ივნისს, უმაღლესის ბრძანებით, ადესასა და მისს მაზრაში ომიანობის დროის წესები გამოცხადდა, ქალაქს რკალივით შემოარტყეს ჯარები და არეულობა მოისპო. ზარალი რამდენიმე მილიონი იქნება. უცხოეთის წარმომადგენლები არ დაზარალებულან, ვინაიდან, ადესის ოლქის ჯარების უფროსის განკარგულებით, თვითეულ საკონსულოს ადესაში, ცალკე მცველი დაუყენეს. იმავე 16 ივნისის საღამოს 7 საათზე, ჯავშნოსან „კნიაზ პატემკინმა“, რომელმაც დაჭერილ აფიცრებიდან 9 კაცი გადმოსხა ნაპირზე, ნახევარ მილზე უკან დაიხია დასავლეთისკენ და სამჯერ გაისროლა გაუტენელი ყუმბარა (რაც დადებულია საზღვაო წესდებისამებრ მატროსის დასაფლავების დროს) და ორჯერ გატენილი, რამაც დაანგრია ერთის სახლის სახურავი და კედლის ნაწილი ნეჟინის ქუჩაზე, მაგრამ არავინ-კი არ დაშავებულა. მეორე დღეს, 17 ივნისს, დილის 7 საათზე, ადესას მოადგა შავს ზღვის ესკადრა, რომელზედაც აღმართული იყო უფროს ფლაგმანის ვიცე-ადმირალ კრიგერისა და უმცროს კონტრ-ადმირალ ვიშნევეცკის ბაირაღები; ესკადრას შეადგენდნენ 4 საესკადრო ჯავშნოსანი და 5 საესკადრო ნაღმოსანი. ხსენებული ესკადრა დამწკრივდა ფრონტის რიგზე და გაემართა „პოტემკინისკენ“, უკანასკნელი-კი, საბრძოლველად მომზადებული, შეეგება ესკადრას. როცა „პოტემკინ“-მა გაარღვია ესკადრის რაზმი და გაუსწორდა ჯავშნოსან „გიორგი პობედონოსეც“-ს, უკანასკნელის კამანდა აღფრთოვანებით მიეგება „პოტემკინ“-ს და, როცა ადმირალის სიგნალით ესკადრამ პირი იბრუნა, „გიორგი“-ს კამანდა მივარდა ხიდს და არ დაანება გემის ხელ-მძღვანელობა; ამასთანავე „გიორგი“-მ შლიუპკა გადაუშვა და გადაიყვანეს ნაპირზე ჯავშნოსნის ყველა აფიცრები, გარდა გრიგორკოვისა, რომელმაც თავი მოიკლა; ამ აფიცრებს ყველას იარაღი აჰყარეს; „პოტემკინ“-ის ერდოზე შეამჩნიეს ოცდაათამდე კერძო პირი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი. სანამ აფიცრები მოლაპარაკებას გაათავებდნენ აჯანყებულებთან, ნაღმოსანმა № 267 მიიყვანა „გიორგი პობედონოსეც“-ზე, როგორც უჩვენა უკანასკნელის კამანდამ, ებრაელი-სტუდენტები და „პოტემკინ“-ის მატროსები, რომელთაც ხელთ იგდეს გემის უფროსობა და ურჩიეს კამანდას, წყალში გადაეყარათ აფიცრები, რაზედაც უარი განაცხადა კამანდამ. მისულ რევოლიუციონერების რჩევით, ჯავშნოსნისთვის ხელ-მძღვანელობის გასაწევად შესდგა ოცის კაცისაგან კომისია, გემის უფროსად-კი, როგორც ეტყობა მისდა უნებურად, დანიშნეს ბოცმანი. მაგრამ „გიორგ“-ის ზღვაოსანთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა და მხოლოდ აგიტატორების გავლენით, მატროსების ერთმა ნაწილმა მოითხოვა, „პოტემკინ„-ს მივყვეთ უკანო. როცა ორივე ჯავშნიანი გემი ადესის რეიდში მივიდა, „პოტემკინმა“ მუქარაც-კი შეუთვალა „გიორგი პობედონოსეც“-ს, გაგანადგურებ ზარბაზნებით, თუ სევასტოპოლში წასვლა გაგიბედნია დანარჩენ ესკადრასთან შესაერთებლადაო. ბოლოს, „გიორგი“-ს მეზღვაურთა იმ ნაწილმა, რომელიც არ ემორჩილებოდა აგიტატორების რჩევას, გაიმარჯვა და, როცა 18 ივნისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ორივე გემმა მოხსნა ღუზა, „გიორგი პობედონოსეცი“ გაქანებული შევიდა ადესის ნავთსადგურში. გემზე მყოფი კერძო პირნი-კი ჩასხდნენ ნავებში და გადავიდნენ „კნიაზ პოტემკინ“-ზე. ამასთან ერთად „პოტემკინი“ დასავლეთისკენ გაემართა.

„გიორგი“-ს მეზღვაურებმა მაშინვე ბოცმანი და რამდენიმე მატროსი აფრინეს ადესის უფროსთან და მიტევება და გემზე აფიცრების დაბრუნება სთხოვეს. ჯავშნოსანზე გაგზავნილ გენერალ ყარანგოზოვს მეზღვაურნი დამწკრივებულნი დახვდნენ. 19 ივნისს გენერალმა კახანოვმა აცნობა მისს იმპერატორებით უდიდებულესობას, რომ „გიორგი პობედონოსეც“-ის მეზღვაურნი სინანულს აცხადებენ კადნიერად ჩადენილ დანაშაულის გამო და იმედი აქვთ, რომ ხელმწიფე მოწყალეთ მოექცევათო. ამასთან მეზღვაურთ გასცეს 67 კაცი, უფრო დამნაშავე, შეჰფიცეს ერთგულება ხელმწიფეს და ტირილით მოინანიეს შეცდომა. ამის შემდეგ „გიორგი პობედონოსეც“-ის უფროსი და აფიცრები შეუდგნენ თავიანთ თანამდებობათა ასრულებას.

20 ივნისს საზღვაო მინისტრმა შავის ზღვის ფლოტის უფროს ფლაგმანის ვიცე-ადმ. კრიგერისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „როდესაც ტრანსპორტი „პრუტი“ ტენდრიდან გამოვიდა, აჯანყდნენ ამ ტრანსპორტის მეზღვაურნი, რომელთაც დაატუსაღეს გემის უფროსი და აფიცრები, მოჰკლეს პრაპორშჩიკი ნესტერცევი და ბოცმანი კოზლიტინი. „პრუტი“ სევასტოპოლს მივიდა მეზღვაურთ შეინანიეს, გაანთავისუფლეს გემის უფროსი და აფიცრები და სთხოვა მათ, უფროსობა გაგვიწიეთო. „პრუტ“-ს ვუბრძანე, წასულიყო კამიშევის ბუხტაში, საცა წინასწარი გამოძიება მოხდება“.

როგორც ოფიციალურის ცნობებიდან სჩანს, ადესაში, არეულობის დროს, 15 ივნისს ღამე, მოუკლავთ ხალხიდან 49 და დაუჭრიათ 74 კაცი. ხალხს მოუკლავს ერთი პოლიციელი და დაუჭრია 8 სალდათი, 4 უბნის ზედამხედველი და 8 პოლიციელი.

ადმირალ ჩუხნინის განკარგულებით აკრძალულია იარაღის გაყიდვა. არავის არ შეუძლიან კერძო ნავებით ასს საჟენზე უფრო ახლო მივიდეს სამხედრო გემებთან.

ადესაში სულ დაუჭერიათ 77 კაცი „გიორგი პობედონოსეც“-იდან. ამათგან 14 კაცი „პოტემკინის“ მატროსები არიან. ამ თოთხმეტ კაცში 13 თავისნებით გაჰქცევია მეამბოხე ამხანაგთ.

როგორც დეპეშაშია მოხსენებული, ჯავშნიანი გემი „პოტემკინი“ და ერთი ნაღმიანი გემი, ადესაში მომხდარ ამბების შემდეგ კიუსტენჯეში (რუმინიაში) მისულა სანოვაგისთვის. რუმინიის მთავრობას უთქვამს, სანოვაგეს ვერ მოგცემთ, თუ მატროსები არ გადმოვლენ და იარაღს არ აიყრიანო. მეზღვაურებს უარი განუცხადებიათ და ყირიმისკენ გამობრუნებულან. შემდეგ ფეოდოსიაში მისულან და იქ ორი დღე ქალაქი ხელში სჭერიათ. ამასობაში შავის ზღვის ნავთსადგურებს ბრძანება მოსვლიათ, თუ ვინიცობაა „პოტემკინ“-ი რომელსამე ნავთსადგურში შემოვიდა, ზომები მიიღეთ იმის წინააღმდეგაო. „პოტემკინ“-ის საძებრად წასულა თითქმის მთელი ესკადრა შავის ზღვისა: „როსტისლავ“-ი, „დვენადცატ აპოსტოლოვ“, „ტრი სვიატიტელია“ და „გიორგი პობედონოსეც“-ი. „პოტემკინ“-ს ტუაპსესთან ჩაუვლია და ბათუმისაკენ წასულა. გემს სადღაც სანოვაგე და ნახშირი უშოვნია და რუმინიისკენ გაბრუნებულა. რუმინიისკენ მიმავალი „პოტემკინი“ შეუმჩნევიათ ინგლისის გემებს, რომელნიც სტამბოლს მისულიყვნენ და განუცხადებიათ, „პოტემკინ“-ი ბოსფორიდან 16 მილის მანძილზეაო. სტამბოლს უცბად მოსდებოდი ხმა, რომ ჯავშნოსანი ჩვენზე მოდისო და დიდი ალიაქოთიც ატეხილა. ბოსფორს შესასვლელ ფორტებს ბრძანება მისვლოდათ თურმე, თუ ვინიცობა გამოჩნდეს „პოტემკინ“-ი, უსათუოდ გაანადგურეთო. ეს ხმები, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ტყუილი გამოდგარა და „პოტემკინს“ ისევ რუმინიის მთავრობისათვის მიუმართავს. რუმინიას გემის მეზღვაურებთან მოსალაპარაკებლად, მინისტრ-პრეზიდენტი გაუგზავნია. ამისთვის უამბნიათ მატროსებს, თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ და ავიწროვებდნენ რუსის ფლოტში სამსახურის დროს, უამბნიათ აგრეთვე როგორ დამპალი, ჭიყროლებული, მატლებით სავსე ყოფილა 13 ივნისს ადესიდან მიტანილი ხორცი, რაც მიზეზად გამხდარა აჯანყებისა. მეზღვაურთ იარაღი აუყრიათ და გემი აფეთქება მოუნდომებიათ. მაგრამ რუმინიის მთავრობას არ დაუნებებია და დაუდგენია გემის გადაცემა რუსეთის ხელმწიფისთვის, რაც სისრულეში მოუყვანიათ კიდეც და 26 ივნისს ოფიციალურად ჩაუბარებია იგი რუსის ესკადრისთვის, ნაღმოსანს № 267-ს უარი უთქვამს იარაღის აყრაზე და 25 ივნისს საღამოს მოსულა სევასტოპოლში. „პოტემკინის“ მეზღვაურნი რუმინიის მთავრობამ თავის სახელმწიფოში გადაიყვანა. იქიდან სადაც უნდათ იქ წავლენ. ამბობენ, გემზე ნახევარი მილიონი მანეთი იყო და ეს ამოდენა ფული მეზღვაურებმა თან წაიღესო.

არეულობები ქალაქ ივანოვო-ვოზნესენსკში. ივანოვო-ვოზნესენსკი სამრეწველო ქალაქია. იქაურ ქარხნებში 40 ათას მუშამდეა. ამას წინად ამ მუშებმა დიდი და საყოველთაო გაფიცვა მოახდინეს. ამ გაფიცვის შესახებ „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია: გაზ. „ვეჩ. პოჩტა“-ს 6 ივნისის ნომერში დაბეჭდილია კორესპონდენციები სათაურით—„ივანოვო-ვოზნესენსკის გაფიცვა“. ამ კორესპონდენციებში ყალბი ცნობებია დაბეჭდილი „ივანოვო-ვოზნესენსკში მომხდარ უწესოებასა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მიიღო. ნამდვილად კი, როგორც ეს ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობის მოხსენებიდან სჩანს, მუშების გაფიცვას წმინდა ეკონომიური ნიადაგი ჰქონდა. პირველად მუშები წყნარად იყვნენ. ადგილობრივ მთავრობის ნებართვით, მუშებმა აირჩიეს 150 დეპუტატი, რომელთაც ნება მისცეს შეკრებილიყვნენ მოქალაქეთა სამმართველოში. ყველა მუშების შეკრება ნებადართული არ იყო, მაგრამ შეკრება მაინც შეეძლოთ მდ. ტალკის ახლო, სადაც მართლა იკრიბებოდა ყოველ დღე რამდენიმე ათასი კაცი. როცა მუშების მოთხოვნანი გამოირკვა, მათ მოისურვეს მოლაპარაკების გამართვა უთუოდ ყველა მეფაბრიკეებთან ერთად. მეფაბრიკეებმა თავის მხრივ უარი სთქვეს ამაზედ და მოითხოვეს, რომ თავ-თავიანთ ფაბრიკის მუშების დეპუტატებთან ყოფილიყო გამართული მოლაპარაკება. ამასთან მეფაბრიკეებმა განაცხადეს, რომ არაფერსაც არ დაუთმობენ მუშებს, რადგან სხვაგან ამ დათმობას არავითარი შედეგი არ მოჰყვაო. 13 მაისს ვიცე-გუბერნატორს წარუდგა მუშების დეპუტაცია და მოითხოვა—ნება მოგვეცით საკუთარი მილიცია ვიყოლიოთო. ამაზედ დეპუტატებს უარი უთხრეს და გამოუცხადეს, რომ ქალაქში პოლიცია და ჯარი საკმაოდ არისო. შემდეგ ვიცე-გუბერნატორმა შეიტყო, რომ მოქალაქეთა სამმართველოში თანდათან პოლიტიკური საკითხების განხილვაზე გადადიოდნენ, და მოითხოვა სხდომის ოქმები. მაგრამ რადგან უარი მიიღო, კრება აკრძალეს. მეორე დღეს საბჭოს წინ მოედანზე დიდძალი ხალხი გაჩნდა; აქედან რომ განდევნეს, მეორე ქუჩაზე შეიკრიბნენ, ამართეს წითელი დროშა და სარევოლიუციო ლექსების მღერით ტალკისაკენ გაემართნენ. ამის შემდეგ კრებებმა ტალკაზე მიიღეს ცხადი რევოლიუციონური ხასიათი, არიგებდნენ პროკლამაციებს და ამბობდნენ სიტყვებს არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ. რადგან დაუშვებელი იყო ასეთ უკანონო კრებების მოსპობა, ვიცე-გუბერნატორმა გამოაცხადა—შემდეგისათვის აკრძალულია კრება ტალკაზედაო. მიუხედავათ ამისა, 3 ივნისს ისევ დაიწყო ხალხმა თავის მოყრა ტალკაზე. ამიტომ პოლიცმეისტერს უბრძანა თვითონ წასულიყო ადგილზე და შესაფერი ღონის-

---

ფელეტონი

დედაკაცის აწმყო და მომავალი

(შემდეგი *)

სქესობრივ ლტოლვილებათა ძალით ჩაქრობა იწვევს აუარებელ მავნე შედეგს და ჰბადავს ისტერიკას, რომელიც ათასობით ჰგზავნის ხალხს შეშლილთა თავშესაფრებში. ლიუტერმა, რომელმაც თვის ხუცურის უტვინობით ბევრი უბედურება მოიტანა, სწორედ გაიგო უქორწინობისა და სქესობრივ ერთიანობის უარყოფის სრული მავნებლობა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ლიუტერი, ჯანითა და ღონით სავსე, იძულებული იყო მონასტრის წესების წყალობით იქვე ჩაექრო სქესობრივი მოთხოვნილებანი. ლიუტერმა ამის შესახებ ყველაზედ სწორი და უტყუარი აზრი გამოსთქვა. იგი ამბობს: „დედაკაცს არ შეუძლიან უმამაკაცოდ გაძლება, როგორც არ შეუძლიან იცხოვროს უსაჭმლოდ, უსასმლოდ, უძილოდ და სხ.“—„მამაკაცებიც საჭიროებენ ქალებს. მიზეზი ისაა, რომ ადამიანის ბუნებაში იმ თავითვე ღრმად ინერგება ბავშვების წარმოშობისადმი ლტოლვილება ისე, როგორც იგი მიისწრაფვის საჭმელ-სასმელისკენ. ამისთვის ღმერთმა ადამიანის სხეულს მისცა სხვა და სხვა ორგანოები, ძარღვები, ნერვები და ყველაფერი, რაც საჭიროა ადამიანის სიცოცხლისთვის. ვინც ამის წინააღმდეგია, ის ვერ იქცევა გონივრულად, ვინაიდან ამგვარი ქცევა იმას მოასწავებს, რომ ბუნებას უბრძანო, აღარ იყვეს ბუნებად, ცეცხლს—აღარ ანთებოდეს, ადამიანს—არ სჭამოს, არ სვას და არ დაიძინოს.“

მაგრამ საზოგადოებრივი პირობები ისეთია, რომ, უმეტესად, ხელს უშლიან ქალს, დაიკმაყოფილოს თვისი სქესობრივი მოთხოვნილებანი. არა მარტო ქალის სოციალური მდგომარეობა აიძულებს მას გულის ფანცქალით ელოდოს, როდის გამოჩნდება საქმრო, რომელიც, იქნება არც-კი შეუყვარდეს, არამედ აქ სოციალურ მდგომარეობას შველის თვითონ საზოგადოებაც: ის ომისა და ემიგრაციის საშუალებით იმაზე ზრუნავს, რომ სქესთა განწყობილებამ არა სასურველი მიმართულება მიიღოს ქალისთვის: ბუნებაში ასეთი უსწორ-მასწორობა (ქალების მავნებელი) არ არსებობს, ვინაიდან სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ 100 ქალზე 105 ვაჟი იბადება, ე. ი. მამაკაცთა სქესი მეტია. მეორე მხრით, გერმანიის ხალხის აღწერა 1872 წ. გვაჩვენებს, რომ ქალი გაცილებით მეტია კაცზე, სახელდობრ ქალი ყოფილა 20,906,739, კაცი კი—20,151,902. ასე რომ ქალი, ორთავეს რიცხვით, 750 ათასით ყოფილა მეტი. ეს რიცხვი განსაკუთრებით ასაკში მოსულ ქალებს შეეხება, ვინაიდან, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, დაბადების დროს მამაკაცი მეტია რიცხვით დედაკაცზე. 1890 წ. გერმანიაში 24,230,832 კაცი და 25,197,638 ქალი ითვლებოდა. ქალი მეტია კაცზე 966,806-ით.

ზემოდაც ვთქვი და ვიმეორებ კიდეც, რომ ამ მოვლენის მიზეზი ომი და ემიგრაციაა. თანახმად ზემოთ მოყვანილ ციფრებისა, გერმანელ ქალების დიდი რიცხვი იძულებულია უქმროდ დარჩეს; ეს რიცხვი თანდათან მატულობს, რადგან ახალგაზრდა კაცები ეკონომიურის და სხვა მოსაზრებით უარს ამბობენ ცოლების შერთვაზე.

ყველა ამას შედეგად სხვა და სხვა არა ბუნებრივი მდგომარეობა მოსდევს. თანამედროვე პირობების წყალობით ქალებს უქმროდ დარჩენის შიში ყოველ წლობით მატულობს და არც კი შეიძლება ვუსაყვედუროთ ბევრ ქალებიან ოჯახს, თუ იგი სწუხს და ზრუნავს მათ მომავალზე. მეორე მხრით ამ პირობების მეოხებით, ქალის ხასიათში ვითარდება ისეთი მხარეები, როგორიცაა, მაგალითად, მორთვა-მოკაზმვისადმი მისწრაფება, სიამაყე, ნაზობა მამაკაცებზე, ძლიერი იჭვიანობა, რასაც ხშირად დასცინიან და ჰკიცხავენ ხოლმე, მაგრამ რაც უტყუარი შედეგია ამისთანა პირობებისა. ყველა ამის წყალობით პროსტიტუცია ბლომად პოულობს სამკალს, აუარებელ კანდიდატთა სახით.

ქალის ხასიათის ასეთი ცუდი მხარეები, რომელსაც აგრე ხშირად დასცინის საზოგადოება და რომელნიც გატიპიურდნენ კიდეც, ადვილი გასაგებია: ისინი ქალის ცხოვრების პირობების ბუნებრივი შედეგია. ბურჟუაზიულ საზოგადოებას შეუძლიან ჰკიცხოს და დასცინოს—ამას იგი საკმაოდ სჩადის—მაგრამ არ ძალუძს შესცვალოს ან მოსპოს ეს მხარეები, რადგან ისინი ამავე საზოგადოების ღვიძლი შვილები არიან. ქალის ხასიათი მაშინ განიწმინდება ამისთანა ნაკლულევანებისაგან, როცა ბურჟუაზიულ საზოგადოების ადგილს დაიჭერს ჯანმრთელი და ნორმალურ საზოგადოების ფორმა.

იგივე საზოგადოებრივი პირობები, რომელთაც ასეთი მავნებელი გავლენა აქვთ ქალების თავისუფალ განვითარებაზე, ხელს უწყობენ მამაკაცს, განსაკუთრებით, როცა იგი საკმაოდ უზრუნველყოფილია ქონებრივად, ადვილი წახსნას თავის სქესობრივს ლტოლვილებას; ამისთანა კაცს, როგორც ვიცით, ქორწინება არ უშლის ხელს და ძლიერ ხშირად ამისთვის, რომ მისი ქორწილი არ იყო ჭეშმარიტ სიყვარულზე აშენებული. მოიგონეთ შემთხვევით რა მდაბალ და უზნეო საშუალებებს ხმარობს ხოლმე უმაღლესს წრეების „ბებერ ბატონთა უმეტესობა, დაჩლუნგებულ გრძნობათა გასაღვიძებლად.

დედაკაცის ქონებრივი დამოკიდებულება და სულიერი უმწიფობა, რომელს მამაკაცები განზრახ უწყობენ ხელს, უმწიფობა, შეკავშირებული იმ ფაქტთან, რომ უქონლობა და არსებობისათვის ბრძოლა აიძულებს მამაკაცებს, თანამედროვე სოციალურ პირობებში უცქირონ ქორწინებას, ყველაზე პირველად ფულის მხრივ, ქალს საქონლად აქცევს, ქორწინებას კი—ბინძურ ვაჭრობად. ბუნებრივს, ე. ი. ზნეობრივ მხარეს მეორე ადგილი უჭირავს. ქალი უკიდურესად დამოკიდებული ხდება კაცისაგან.

ამგვარად, თანამედროვე საზოგადოებაში სქესთა შორის დამოკიდებულება ისეთივე აუტანელია, როგორც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. მამაკაცი უფლებებით აღჭურვილი, დედაკაცი მოკლებულია ყოველ უფლებას და დატვირთულია ვალდებულებით.

ა. ლომთათიძე

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „კვ. ფურ.“ № 2844

ძიებანი მფლო; პოლიცმეისტერს თან გაადევნეს გარდა 15 სტრაჟნიკისა ასი ყაზახი და დრაგუნების ერთი ესკადრონი. ადგილზე მივიდა პოლიცმეისტერი, რამდენჯერმე სთხოვა ხალხს დაშლა, მაგრამ რადგან ყური არავინ ათხოვა, სტრაჟნიკებს უბრძანა შეკრებილების გაფანტვა, რაც ასრულებულ იქნა. ნაწილი ხალხისა ქალაქისაკენ გაიქცა და გზაზე ორ პოლიციელს სასტიკად სცემეს; უფრო ნაცემი იყო ის პოლიციელი, რომელიც კანდურინის ფაბრიკას უგდებდა ყურს. თუმცა პოლიციელს იქ მომუშავე კალატოზები მიეშველნენ, მაგრამ ბრბო მაინც შევიდა ფაბრიკის ეზოში და კანტორის მოლეწ-მოლეწას შეუდგა. ზოგმა ცეცხლიც წაუკიდა. მოვიდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, მაგრამ ბრბო ქვის სროლით დახვდა და ცეცხლის ქრობას ხელს უშლიდა. ამიტომ საჩქაროდ გაგზავნეს 50 ყაზახი, რომელთაც ბრბო გაჰფანტეს. პოლიცმეისტერმა შემდეგ გაგზავნა ყაზახები ტყეში დაჭრილების დასაჭერად, მაგრამ, როგორც გამოძიებამ გამოარკვია, ამას არ ჰქონია სრულიად ხასიათი ნადირობისა; თანახმად ამ გამოძიებისა, გაუფრთხილებლად არ უსვრიათ ხალხისთვის. საავადმყოფოში მხოლოდ სამი მოიყვანეს ტყვიით დაჭრილი; ვითომ ქალი დასჭრეს და ბავშვიც მოჰკლესო, ტყუილია; საავადმყოფოში დადიოდა დაჭრილი სულ ათი კაცი. კორესპონდენციის დანარჩენი ცნობები შესახებ ყაზახების ძალმომრეობისა და ქურდობისა სრულიად არ მტკიცდება მოწმეების ჩვენებით; არ მტკიცდება აგრეთვე ის ამბავიც, ვითომ ქალაქში დიდი შიშიანობა იყოს; დუქნები ღიაა, მოძრაობა ქუჩებზე უზრუნველყოფილია; ეს არის, რომ მცხოვრებნი ჩვეულებრივზე უფრო აღელვებულნი არიან უფრო ამიტომ, რომ ეშინიათ ღამე არ მოხდეს არეულობა“.

—

ხალხის მიერ აფიცრის მოკვლა. „რუსეთის სააგენტო“ შემდეგ ამბავს გადმოგვცემს: 17 ივნისს ქალაქ კურსკის სადგურზე უნდა გაევლო სამხედრო მატარებელს. პირველ კლასის დარბაზში მყოფ აფიცერთან, სალდათების უფროსთან, მივიდა უნტერ-აფიცერი და, როგორც წესია, აცნობა, რომ ვაგონებში სივიწროვეაო. სალდათი მთვრალი იყო და აფიცერმა უბრძანა, შეეკრათ იგი. სალდათმა ხელები გაინთავისუფლა, ლანძღვა დაუწყო აფიცერს და შეურაცხება მიაყენა. გაჯავრებულმა აფიცერმა იძრო ხმალი და იქვე წუთისოფელს გამოასალმა სალდათი. ამ ამბავმა საშინლად აღელვა ხალხი. აფიცერმა ვაგონს შეაფარა თავი და კარები ჩაიკეტა. გარედან ქვები და ჯოხები დაუშინეს. აფიცერმა სროლა დაიწყო. ვიღაცამ დაიძახა: „ცეცხლი მაგას, ძმებო“! და ვაგონს ნავთიანი ჩვრები და ნაფოტები მიაყარეს. მალე ვაგონს ცეცხლი მოედო. აფიცერმა ამის შემდეგ თავი მოიკლა. სადგურზე გაჩნდნენ გუბერნატორი და დრაგუნები. ხალხი გაიფანტა. გამოძიებაა“.

—

ლოძის ამბები. უკანასკნელ წლის განმავლობაში პოლონეთს მეტად გაძლიერდა სარევოლიუციო პარტიების მოქმედება, რაც გამოიხატა თითქმის შეუწყვეტელ გაფიცვებით და ადმინისტრაციასთან შეტაკების გაძლიერებით. სარევოლიუციო მოძრაობა მეტის-მეტად გამწვავდა ბოლოს დროს ქალაქ ლოძში, სადაც 1 ივნისიდან 12-მდე შემდეგი ამბები მოხდა:

ივნისის პირველ რიცხვებიდანვე დაიწყო საერთო გაფიცვა ფაბრიკებსა და ქარხნებში; შემდეგ ყველა მაღაზიებიც დაიკეტა. სროლა პირველად სრედნი ქუჩაზე დაიწყო, სადაც პირველად ყაზახი იქმნა მოკლული; შემდეგ [illegible] დაეცენ პოლიციელს ვალჩაკს, რომელიც 49 ალაგას იქმნა დაჭრილი და ნახევარ საათის შემდეგ გარდაიცვალა. ამ დღით სროლა ბევრ სხვა ქუჩაზედაც იყო. ქალაქში ყოველი მოძრაობა შესწყდა. მანიფესტანტები ამტვრევენ ქუჩის ფარნებს, ტელეგრაფის ბოძებს და აშენებდნენ ბარიკადებს. სალამოს ცხრა ნახევარ საათზე ცეცხლი წაუკიდეს [illegible] ქუჩაზე მაგარ სასმელების სავაჭრო დუქანს და დასწვეს იგი სრულიად. [illegible] დღეს დილიდან უწესოება [illegible]. მანიფესტანტებმა ბევრ ადგი[illegible] ბარიკადები ურმებიდან, ეტლებიდან, [illegible]კებიდან. არც ერთს ქარხანა-ფაბრიკაში [illegible] აღარ დაუწყიათ; მუშებსა და ჯარს შორის აქა-იქ ბრძოლა მოდიოდა, [illegible] დაჭრილ და მოკლულ იქმნა. [illegible] დღეს აივსო საავადმყოფოები. [illegible]ის საავადმყოფოში 80 მძიმედ დაჭრილი მიიყვანეს. წითელ ჯვრისა დაწეს. [illegible] საავადმყოფოებში [illegible] კორიდორებში და [illegible]ზე აწვენდნენ, რადგან ადგილი აღარ [illegible]. „სწრაფ დახმარების“ საზოგადოების [illegible]ებმა ქუჩებზე 161 შეუხვიეს ჭრილობა. 11 ივნისს [illegible] 5 პოლკი [illegible] 6 პოლკი [illegible] ჯარისა [illegible]—ცხენოსანთა. [illegible] ამდენიმე კაცისაგან შემ[illegible] პროცესია [illegible] ებრაელთა სასაფლაოსაკენ ორის მოკლულის მუშის დასამარხავად. მანიფესტანტებს წითელი და შავი დროშები მიჰქონდათ; მღეროდნენ სარევოლიუციო სიმღერებს. ხალხი თანდათან ემატებოდა და ბოლოს პროცესიაში 10 ათასზე მეტი მიდიოდა. უმთავრეს ქუჩაზე ხალხს შეტაკება მოუხდა ჯართან; უკანასკნელმა საშინელი სროლა ასტეხა, ხალხს შიშის ზარი დასცა და გაჰფანტა; მრავალი იქმნა მოკლული და დაჭრილი. ქალაქიდან მრავალი ხალხი იხიზნება. ყოვლად შეუძლებელია ჯერ შესდგეს სიები დაჭრილთა და მოკლულთა; უმრავლესობას ებრაელები შეადგენენ. ქუჩებში ჯარები დადიან და თოფებს ესვრიან, თუ სადმე ბრბო დაინახეს; ესვრიან აგრეთვე სახლების აივნებზე, რადგან იქიდან რევოლვერების სროლა იყო. უმთავრესი შეტაკება 10 ივნისს მოხდა, როცა ბრძოლაში 60 ათასამდე შეიარაღებული მუშა და 6 პოლკი ჯარი იღებდა მონაწილეობას. მუშებმა სხვა და სხვა ალაგას 20 ბარიკადა ააგეს, რომელიც ჯარებმა იერიშით აიღეს. ბევრი სახლი მუშებმა ციხეებად აქციეს, საიდანაც ჯარებს თოფებს ესროდნენ და თავზე მდუღარეს ასხამდნენ. ასეთი სახლებიც ჯარს იერიშით უნდა აეღო. ზოგიერთ ალაგას მუშები მიდიოდნენ იერიშით ჯარებზე, რის დროს ყუმბარებსაც-კი ხმარობდნენ. ერთ ადგილას ყუმბარებით მოკლულ იქმნა 4 ყაზახი და 21 ცხენი, ხოლო დაჭრილ იქნა 16 ყაზახი. ბრძოლა 11 დილასაც არ შეწყვეტილა. ქალაქში სანოვაგეც აღარ არის და შიმშილობაც იწყება. 10, 11 და 12 ივნისს მრავალი ტრაგიკული სცენა მოხდა; ყოველივე ამტკიცებს, რომ ორივე მხარე მეტად გამხეცებულია. როგორც ამბობენ, მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი 2000-მდეა. ჯარშიაც არიან მოკლულნი. ერთგან 6 აფიცერი და რამდენიმე დრაგუნი მოჰკლეს. ერთი აფიცერი ახალგაზრდა ქალმა მოჰკლა რევოლვერით. მოძრაობისა და ბრძოლის მეთაურნი წითელის ყელსახვევით განირჩეოდნენ დანარჩენებისაგან. ესენი ეკუთნოდნენ პოლონეთის სოციალისტთა პარტიას და ებრაელების „ბუნდ“-ს.

—

ხელმწიფის სიტყვა. ოფიციალურად. 24 ივნისს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ალექსანდრიის ფერმორის სასახლეში, მიიღო დეპუტაცია, რომელშიაც იყვნენ ორიოლის საგუბერნიო ერობის ხმოსანი ნარიშკინი, გენ.-ადიუტანტი კირეევი, ნოვგოროდის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გრაფი შერემეტიევი, პეტერბურგის ერობისა და პეტერბურგის საქალაქო საბჭოს ხმოსანი გრაფი ბობრინსკი, კურსკის თავად-აზნაურთა წინამძღოლი გრაფი დევიერი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს ხმოსანი რასტორგუევი, ნოვგოროდის მოქალაქე მატროსოვი, გლეხები—გრიშინი, იაკოვლევი, ნესჩასტნი და ბაანოვი. დეპუტაციამ მიართვა ადრესი, რომელშიაც ხელმწიფე იმპერატორს სთხოვს—მომავალ რეფორმის დროს ნუ იქნება დარღვეული სახელმწიფოს ძირითადი კანონები და ამასთანავე არჩევნები სათათბირო საკანონმდებლო დაწესებულებაში წოდებათა მიხედვით იქნას მოხდენილიო. ამ ადრესზე და დეპუტატთა სიტყვებზე ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგის სიტყვით უპასუხა:

„გულწრფელად გმადლობთ თქვენ, ბატონებო, და თქვენც, ძმებო, ამ აზრებისა და გრძნობათათვის, რომელთა გამოსაცხადებლად ჩემთან მოსულხართ. უფრო იმან მასამოვნა, რომ თქვენ მოგყვანათ ჩემთან სამშობლოსადმი სიყვარულმა და ერთგულებამ. მხოლოდ ის სახელმწიფოა მაგარი და მძლიერი, რომელიც წმიდათ იცავს წარსულის აღთქმას. ჩვენ თვითონ შევცოდეთ ამაში და ღმერთიც, შეიძლება, ამიტომ გვსჯის ამ ჟამად. რაც შეეხება იმ აზრს, რომელსაც შეუპყრიხართ მომავალ რეფორმების გამო, გეტყვით, რომ თვით ცხოვრება გვიჩვენებს იმ გზას, რომლით თავიდან უნდა ავიცდინოთ შეცდომანი და სიძნელენი, რომელნიც აუცილებელი იქნება ჩემ ქვეშევრდომთა საკეთილდღეოთ განზრახულ დიდ საქმეში. დარწმუნებული გარ, რომ ყველანი თქვენ და ყოველი თქვენგანი თავ-თავის წრეში დამეხმარებით და აღმადგენებთ მშვიდობასა და წესრიგს ჩემს იმპერიაში და ამით გამიწევთ სამსახურს, რომელსაც ყველა ჩემ ერთგულ ქვეშევრდომთაგან მოველი; შეგეწიოთ ამ საქმეში უფალი ღმერთი“. („რ. ს.“).

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

27 ივნისი

პეტერბურგი. გენერალ ლინევიჩის დეპეშა: 24 ივნისს იაპონელებმა დაიჭირეს კორსაკოვის პოსტი სახალინზე. 25 ივნისს, დილის 8 საათზე, ლოსოსეს ბუხტაში შევიდა ორი ნაღმიანი გემი და სროლა დაუწყო სოლოვიოვის პოზიციებს. კორსაკოვსკის რაზმი სოლოვიევის პოზიციებიდან ჩრდილოეთისკენ წავიდა. იაპონელთა ცხენოსანმა ჯარმა დაიჭირა სოლოვიევკა. კორსაკოვში იაპონელებმა გადასხეს ჯარი, როგორც ქვეითა და ცხენოსანი, ისე არტილერია.

ვაშინგტონი, 27 ივნისი. ჩინეთმა აცნობა პრეზიდენტს თავისი სურვილი იმის შესახებ, რომ ჩინეთის წარმომადგენელს ნება მიეცეს დაესწროს კონფერენციას. იაპონიას ჩინეთის წარმომადგენელი მეტად მიაჩნია მას შემდეგ, რაც იაპონიამ განაცხადა, რომ მანჯურია ჩინეთს დაუბრუნდებაო.

ლონდონი, 27 ივნისი. ხვალ დაიწყება ხელის მოწერა იაპონიის ახალ სესხზე. სესხი 30 მილიონ გირვანქა სტერლინგისაა.

27 ივნისი.

სიმფეროპოლი, 27 ივნისი. საპყრობილედან სამი პატიმარი გაიქცა. წესიერების აღსადგენად ჯარია დაბარებული.

ლოძი, 27 ივნისი. ადგილობრივ კათოლიკეთა ეკკლესიებში წაკითხულ იქნა წეს-რიგის დამცველის, გენერალ შუტლევორტის წერილი. გენერალი აფრთხილებს ხალხს, თუ ეკკლესიებში აღკრძალულ სიმღერებს იტყვით, ყველას დაგაპატიმრებთო.

მოსკოვი, 27 ივნისი. პოლიციამ ჩაიწერა იმ ასს ინჟინერის გვარი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ინჟინერთა კრების დროს „კონტინენტალის“ სასტუმროში. ინჟინრებმა ამის გამო პროტესტი განაცხადეს. მარონსკის ბაღში დიდი ცეცხლი გაჩნდა. დაიწვა აგრეთვე სახლი, სადაც არყის სავაჭრო იყო. ხალხი შევარდა სახლში, გაიტანა ღვინო და დაიწყო სმა. შემდეგ დაიწყეს ჩხუბი. იარაღად ხმარობდნენ თოფებს, ჯოხებს და დანებს. სამაზრო პოლიციამ ძლივს უშველა თავს.

მოსკოვის გენერალ-გუბერნატორმა აცნობა ერობასა და ქალაქის მოღვაწეებს, რომ 6 ივნისს კრების ნებას არ მოგცემთო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

27 ივნისი

ვაშინგტონი, 27 ივნისი. ამერიკის მთავრობამ გამოაცხადა, რომ რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულთ ერთმანეთის შესახვედრ ადგილად აარჩიეს პორტ-სმუტის ნიუგემპშირში. სხდომები მოხდება მთავრობის გემთსაშენებელ ქარხნის დარბაზში.

ლონდონი, 27 ივნისი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი დეპეშა, ტოკიოდან მიღებული 27 ივნისს: „25 ივნისს, დილით, იაპონიის ჯარმა დაიჭირა კორსაკოვსკის პოსტი სახალინზე. ძლიერი წინააღმდეგობა არავის არ გაუწევია. რუსებმა დასწვეს პოსტი და კოლცოვის კონცხისკენ წავიდნენ. იაპონელებმა ხელთ ჩაიგდეს ზარბაზნები და საომარი მასალა“.

იალტა, 27 ივნისი. 14 და 15 ივნისს აქეთის სამოსამართლო პალატა განიხილავს საქმეს 13 და 14 მარტის არეულობების შესახებ.

კრემენჩუგი, 26 ივნისი. გუშინ დროებით სამხედრო ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ყაზახ-რუსების: კაზაკოვისა, ბუტენკოსი, ტელოკოვისა და სკაჩკოსი. ამათ ბრალდებათ პოდესაულის კულოვის მოკვლა. პირველს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, მეორეს—სამუდამო კატორგა, დანარჩენნი გაამართლეს.

ბრესტ-ლიტოვსკი, 26 ივნისი. ზამოსკის, ცუტოვსკის და პონიკვეცკის მამულებში უწესოებაა. გლეხებმა ხელთ ჩაიგდეს საძოვარი და სათიბი ადგილები და სჩეხავენ ტყეს.

პეტერბურგი, 27 ივნისი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭომ 23 ივნისს დაადგინა: ვიდრე მოხდებოდეს სრული განხილვა პრესსის შესახებ კანონებისა, მიღებულ იქნას შემდეგი ზომები: ცენზურის და პრესსის შესახებ დებულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება: 1. მოისპოს ის კანონი, რომლის ძალითაც შინაგან საქმეთა, სახალხო განათლების და იუსტიციის მინისტრებს და სინოდის ობერ-პროკურორს ნება ჰქონდათ შეეწყვიტათ ჟურნალ-გაზეთები ან შეეჩერებინათ მათი გამოცემა; ნება ჰქონდა აგრეთვე ასეთ გამოცემათა რედაქტორებსა და გამომცემელთათვის აეკრძალათ სხვა გამოცემათა შემდეგში რედაქტორებად და გამომცემლებად ყოფნა; 2. გაუქმდეს ის კანონი, რომლის ძალითაც შინაგან საქმეთა მინისტრს უფლება ჰქონდა მაგნე მმართულებისათვის შეეჩერებინა არა უმეტეს რვა თვისა პერიოდიული გამოცემანი წინასწარ ცენზურიანი; 3. დარჩეს ძალაში მე-154 მუხლის შენიშვნის წესი; 4. მე-146 მუხლის ძალით, ჟურნალის ან გაზეთის გამომცემელთ და რედაქტორებს, რომელიც სამჯერ გაფრთხილების შემდეგ უნდა დაისჯოს, არ აეკრძალებათ გაუგზავნონ თავიანთ ხელის მომწერთ დროული და არა დროული გამოცემანი, დაბეჭდილი სხვების მიერ.

ახალი ამბავი

—

◆ 20-დან 28 ივნისამდე **ტფილისში ცხოვრება თითქმის შესწყდა.** 20 ივნისს გაიფიცნენ და მუშაობაზე ხელი აიღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა, მუშაობაზე ხელი აიღეს აგრეთვე კერძო ქარხნებსა, ფაბრიკებსა, სტამბებსა და სხვა დაწესებულებებში. ასოთამწყობებმა მუშაობა აჰკვეთეს კავკასიის ნამესტნიკის სტამბაშიაც. რედაქციებმა შესწყვიტეს მუშაობა და 21 ივნისიდან დღევანდლამდე არც ერთი გაზეთი არ გამოსულა. საერთო გაფიცვას მეორე დღეს მხარი დაუჭირეს ქალაქის ვაჭრებმა და მთელი 8 დღის განმავლობაში ქალაქში კაცი პურისა და წყლის მეტს ვერას იშოვიდა. 21 ივნისიდან სრულიად შესწყვიტეს მუშაობა ტრამვაის მოსამსახურეებმა. ქალაქში მოძრაობა სრულიად შესწყდა. ქუჩებში მარტოლა ეტლები დადიოდა. ორი დღის თათბირის შემდეგ ქალაქის თვითმართველობის მოხელეებიც გაიფიცნენ. გუშინ, 28 ივნისს, ქალაქი ისევ გამოცოცხლდა, თუმცა ქალაქში საომარ დროის წესებია და ყველგან რაზმებია.

◆ **ჩვენი გაზეთი ტფილისის ყველა სხვა გაზეთებთან ერთად ორშაბათ 20 ივნისიდან დღემდის არ გამოდიოდა საერთო გაფიცვის გამო.**

◆ 28 ივნისს **უნდა მომხდარიყო ტფ. ქალაქის საბჭოს კრება.** საბჭომ მოისმინა გუბერნატორის წინადადება კრებაზე გარეშე ხალხის არ შეშვების შესახებ. ამის შემდეგ კრება, ხმ. ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკის წინადადებით, გადაიდო.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინად ბლაღ. შოშიაშვილმა, **მღვდლების კრების დადგენილების** ძალით, უარი განაცხადა ბლაღოჩინის თანამდებობის ასრულებაზე. ექსარხოსის განკარგულებით, ეს თანამდებობა დაევალა ქუკიის სამისიონერო ეკკლესიის მღვდელს გოროდცევს.

◆ წარსულ კვირაში, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ, ტფილისის მიხ. საავადმყოფოში გარდაიცვალა **ევტიხი მამინაიშვილი**, კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლათა ინსპექტორად ნაყოფი.

◆ ქალაქის ყასბებმა გუშინ **სთხოვეს ქალ. გამგეობას**, ნება მიეცეთ საქონელი ქალაქში დაჰკლან, რადგან ეხლა ღამე ქალაქის სიყასპოდან ხორცის მოტანა ძალიან საშიშოაო.

◆ **დაინიშნენ:** კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწის, პოლიციის უფროსის, კანცელარიის გამგედ—პოლიციის დეპარტამენტის საქმის-მწარმოებლის თანაშემწე გუროვიჩი; ამავე კანცელარიის საინსპექციო ნაწილის გამგედ—ლიური; ამავე კანცელარიაში საქმის მწარმოებლად გადმოიყვანეს: მოსკოვში სახელმწიფო მშვიდობიანობის და წეს-რიგის დამცველ განყოფილების მოსამსახურე ვინოგრადოვი და პოლიციის დეპარტამენტის მოხელე ტრუტკოვი.

◆ როგორც „კავკ.“ გადმოგვცემს, **საქართველოს ექსარხოსს**, როდესაც იგი ტფილისიდან ბათუმის მხრით პეტერბურგს მიდიოდა, ლანჩხუთის სადგურზე ამოღებულის ხანჯლით მიჰვარდნია უცნობი კაცი, მაგრამ იქვე მყოფ ჟანდარმს იგი შეუპყრია.

◆ როგორც „რუსეთის სააგენტოს“ ცნობებიდან სჩანს, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში **საერობო დაწესებულებანი შემოღებული იქნება** შემოდგომაზე.

◆ **ტფ. მესამე უბნის ბოქაული ზაიდბეგ ნაბიბეგოვი** სოხუმის პოლიცმეისტრად გადაიყვანეს, ხოლო იმის ადგილას დანიშნეს სოხუმის პოლიცმეისტერი კაპიტანი რიხტერი.

◆ როგორც „კავკაზის“ ოფიციალურ ნაწილშია გამოცხადებული, **ბათუმის სამხედრო გუბერნატორად დროებით** დაინიშნა გენერალი ფონ-პარკაუ.

◆ 23 ივნისს ტფილისში **ჩამოვიდა სომეხთა კათალიკოსი** მკრტიჩ I. კათალიკოსმა 25 ივნისს სთხოვა ნამესტნიკს დააჩქაროს საეკლესიო მამულების განხილვა. ნამესტნიკი დაჰპირდა, ეს საქმე თქვენდა სასურველად გადასწყდებაო.

◆ ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა მარშალი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი,** თავისისავე სურვილით, დათხოვნილ იქნა თანამდებობიდან.

◆ 28 ივნისს ტფ. სათავად-აზნაურო ბანკში მოხდა საჯარო გაჭრობა დაგირავებულ მამულებისა. 21 მამულიდან გაიყიდა 6 მამული, 15 მამულზე დამატებითი გაჭრობა დაინიშნა 12 ივლისისათვის.

◆ 23 ივნისს, 12 საათზე, პოლიციის მე-6 ნაწილში არუთინ დოიდიევის ბინაზე მცხოვრებს ტფ. მოქალაქეს ნიკოლოზ არზუმანოვს ვიღაცამ ქუჩიდან რევოლვერი ესროლა და სასიკვდილოდ დასჭრა. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს. ვინაობა დამჭრელისა ჯერ არ არის გამორკვეული.

◆ ტფ. მცხოვრებმა ეფრემ დავითაშვილმა პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემი 14 წლის ვაჟი ობლენი შუაბაზარში გამოვიდა ამ ორი დღის წინად და სადღაც გადაიმალაო.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 28 ივნისი. სამი დღე სრული გაფიცვა იყო ქალაქში. დღეს 12 საათზე კი ყველა დუქნები და სახელოსნოები გაიღო. გაფიცვით შეწუხებულ მცხოვრებთ გაუხარდათ მაღაზიების გაღება. ტყიბულიდან ფეხით მოსულმა მუშებმა ქვა-ნახშირის მადნების ახალ ინჟინერს მოსთხოვეს ჯამაგირები.

აბრეშუმის პარკის ფასმა დაიწია 13 მანეთამდე.

ამ დღეებში ციხეში დაჭრილ იქმნა რამდენიმე კაცი.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება.

20—23 ივნისი.

ალ. ყანჩელი შეეხო უკვე აღძრულ საკითხს გამგეობისა (ზოგიერთ) და დამფასებელ კომისიის წევრთადმი ნდობის გამოცხადების შესახებ. ბან. ყანჩელის აზრით, უნდა ჩაენდოს კომისიას მთელი საქმის შესწავლა და მოხსენების შედგენა. ამ აზრს მიემხრნენ ნ. ცხვედაძე, ალ. სარაჯიშვილი, თავ. მიქელაძე და სხვ. წინააღმდეგნი იყვნენ—კობიაშვილი, თავ. აბხაზი, ვ. მაჩაბელი და სხვ. ბოლოს კრება დასთანხმდა კომისიის არჩევანზე, ამასთან გადაწყვიტა, დაენიშნა დრო, რომლისთვისაც კომისიამ უნდა წარუდგინოს მოხსენება. ზოგმა 2 დღე დაასახელა, ზოგმა სამი კვირა და ზოგმა 20 სექტემბერი. კენჭი უყარეს სამსავე წინადადებას და არც ერთი არ მიიღო კრებამ.

სხდომა საღამოთი განახლდა. მთელი საღამო კრებამ მოანდომა ინსტრუქციის პროექტის განხილვას. ინსტრუქცია შეეხება დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობას. პროექტი ცვლილებებით დაამტკიცა.

შემდეგს სხდომაზედ კრებამ განიხილა მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და შევსების შესახებ და მიიღო მოხსენება მცირეოდენის ცვლილებით.

მერე განიხილეს ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯი მოსალოდნელია 105,840 მან. ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ დაამტკიცა შემდეგის ცვლილებებით: დამფასებელ კომისიის წევრებს წლიური ჯამაგირი გაუხადა 2000 მანეთამდე, ხოლო ბანკის მოსამსახურეთა შემნახველ-დამხმარებელ კასის შემწეობად გადასდო 10,000 მან. 5000 მანეთის ნაცვლად. ბანკის მსახურთ განაცხადეს, თუ კრება არ შეასრულებს ჩვენს მოთხოვნილებას, სამსახურს თავს ვანებებთო. გამგეობამ განაცხადა, რომ ბანკის მსახურნი კარგს ჯამაგირებს იღებენო. ამასთან გამგეობამ სთქვა, უნდა დავითხოვოთ მოსამსახურენიო. ბოლოს კრებამ ამ საგანზე კამათი მოსპო და გამგეობას მიანდო იმისი გადაწყვეტა.

23 ივნისის სხდომაზედ ზოგიერთნი ხელმეორედ შეეხნენ საკითხს ნდობის შესახებ. კამათმა დიდ ხანს გასტანა. კარგა ხანს ილაპარაკა ან. ფურცელაძემ. იგი თავს იმართლებდა ბაბაევის სახლის საქმეში, შეეხო ბანკის საქმეებს და სთქვა, ბანკის საქმეები ძალიან კარგად მიდისო. ბოლოს კრების თავმჯდომარემ თავ. ჩოლოყაშვილმა განაცხადა, თათბირის დროს ბევრმა სთქვა ისეთი სიტყვები, რომელთა ერთი გაგონებაც ბანკის სახელს ჩრდილს აყენებს. სთქვეს, მაგალითად, ბოროტ-მოქმედებაო, და სხვ. მე ვამტკიცებ, რომ ბანკის საქმეებში არავითარი ბოროტ-მოქმედება არა ყოფილა და არის მხოლოდ დაუდევრობა, გულცივობა და სხვა ამგვარი. მე ვსარგებლობ უფლებით და ამ საგანზე კამათს ვსპობ, რადგან კრების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ კენჭის ყრა ნდობისა თუ უნდობლობის გამოსაცხადებლად არ შეიძლება, რათა ბანკს ვნება არ მიადგესო.

კრება შეუდგა არჩევნებს. ზედამხედველ კომიტეტის სარეორგანიზაციოდ მოხსენების შემდგენელ კომისიაში არჩეულ იქმნენ: ექიმი თავ. ა. დიასამიძე, თავ. ი. ა. ბარათაშვილი, მ. ვ. მაჩაბელი, ა. ი. სარაჯიშვილი, თულაშვილი და ხრამელაშვილი. კომისია მიიწვევს კომიტეტისა და გამგეობის თითო წევრთ. დირექტორობის თანამდებობაზე არჩეულ იქმნენ: თავ. მ. ა. გრუზინსკი, და თ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი.

როდესაც არჩევნები დასრულდა, გამგეობის თავმჯდომარემ თავ. ილია გ. ჭავჭავაძემ თანამდებობაზე უარი განაცხადა. კრებამ დეპუტაციის პირით სთხოვა დარჩენა, მაგრამ მან უარი შემოთვალა. ამის გამო ნოემბრამდე თავმჯდომარის თანამდებობის აღსრულება დაევალა დირექტორს ანტონ ნ. ფურცელაძეს. ნოემბერში საგანგებო კრება მოხდება.

რუსეთის ქრონიკა

—

ვარშავის არეულობა. 13 ივნისს ვარშავის თითქმის ყველა ქარხანაში გაფიცვა იყო. ეს საერთო გაფიცვა, როგორც ამბობენ, გამოწვეულია ლოძში მომხდარ არეულობის გამო. ბევრი მაღაზია დაიკეტა და ადებ-მიცემობა მოისპო. ტრამვაის მუშაობა შეჩერებულია. დეშკოვის ქუჩაზე ტრამვაის ერთი ვაგონი გადააბრუნეს. ქალაქში ახალი პური აღარ იშოვება. გნოინის ქუჩაზე ბრბომ თოფის სროლა დაუწყო პატრულს, რომელმაც ერთი ებრაელი მოჰკლა. კრახმალისა და ვროპიევის ქუჩები ხუთ ალაგას ხარიხებით შეჰკრეს, მაგრამ სალდათებმა აშალეს, როდესაც მანიფესტანტები გაიფანტნენ. ხალხი მეტად აღშფოთებულია. მუშები ჯგუფ-ჯგუფად გროვდებიან, მაგრამ რაზმების დანახვაზე იშლებიან. ქალაქში ავრცელებდნენ სოციალ-დემოკრატიის პარტიების პროკლამაციებს, რომლითაც იწვევდნენ ხალხს დემონსტრაციისთვის. ერთ ქუჩაზე ყუმბარა გაისროლეს და დასჭრეს ორი ჟანდარმი და რამდენიმე კაცი, შემთხვევით მიმავალი. 21 კაცი დაიჭირეს. ყუმბარის გადამგდები კი მიიმალა. ადგილობრივი გაზეთები უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომც აფეთქების დროს 51 კაცი დაშავებულიყოს და სწერენ, რომ სულ ორი-სამი კაცი დაშავდა. („რ. ს“, „ნ. ვ.“ და „ნ.“).

შავი ტერორი. ხარკოვში კათოლიკეთა ვიკარის ვაგნერის მოკვლამ და მუდამ დღე ხულიგანების თავდასხმამ თავზარი დასცა მთელ ხარკოვს. აღარც პოლიციის იმედი აქვთ მცხოვრებთ და აღარც ღამის ყარაულებისა, რომელნიც ხშირად თვითონ ხულიგანებს უერთდებიან. ზოგ ქუჩაში ბინდის დროს გავლა შეუძლებელია. საჩივრები მუდამ დღე იბეჭდება გაზეთებში, მაგრამ პოლიციის მხრით მიღებული ღონისძიება მარტო ქაღალდებზე სჩანს... ვაგნერის დასაფლავების დღეს ერთ კაცს (ზიმენკოს) სრულიად უმიზეზოდ სცემეს და დასჭრეს. ერთ ქუჩაზე გიმნაზიელსაც სცემეს. მიჯოხეს აგრეთვე იაკოვლევის სტამბის ასოთ-ამწყობები, იმიტომ, რომ ისინი ხულიგანების ერთ მსხვერპლს გამოესარჩლნენ. ყველა ეს ამბები მოხდა ერთ დღეს. („რ. ს.“).

ვარშავის ალება. „რ. ს.“-ს სიტყვით, ერთ გერმანულ გაზეთში დაბეჭდილი თურმე ვარშავაში შექნილი საბუთი, რომლიდანაც სჩანს, რომ 4-დან 16 ივნისამდე უნდა შემორტყმოდა ვარშავას გერმანიის ჯარი.

სოფლის მამულებზე თავდასხმა და ცეცხლის წაკიდება. ხარკოვის გუბერნიის ლებედინის მაზრაში 12 ივნისს ხალხი დასცემია იუგოვის, ბულატოვიჩისა და სტევენის მამულებს და აუკლია. შენობებისათვის სულ ერთიან ცეცხლი წაუკიდებია. („რ. ს.“).

ყოფა-ქცევის ნიშნები. როსტოვ-კავკავის რკინის გზის გამგეობას თავის მოხელეთა ყოფა-ქცევის შესამოწმებლად ის ნიშნები შემოუღია, რომელიც სკოლებში იხმარება. ამ ამბავს დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია მოხელეთა, მეტადრე ახალგაზდა ინჟინერთა შორის. („რ. ს.“)

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა

ჩვენი სკოლის საზოგადოების წრევანდელ კრებას დიდი მითქმა-მოთქმა და პოლემიკა უძღოდა წინ. წინანდებურად საქმე ვეღარ მოეწყო, როგორც ეს კომიტეტის წევრთა უმრავლესობის სურვილი იყო: ჩუმად ვიყვნეთ, საქმეს ნუ გავახმაურებთ, ყურადღებას ნუ მივაქცევთ, შინაურულად მოუაროთ ჩვენ სკოლას, რომ მტრის გული არ გავახაროთო—აი რას გაიძახოდნენ აქამდე კომიტეტის წევრები და ვინც-კი ხმის ამოღებას გაბედავდა და შინაურ ცოდვას გამოამჟღავნებდა, პოლემისტეს ეძახდნენ.

სკოლის ცხოვრება მართლა შინაურულად, ჩუმად მიმდინარეობდა და ბოლოს ისეთი ჭაობი გაჩნდა, რომ საქმეში მონაწილეთ სული ეხუთებოდათ. კომიტეტი მაინც კმაყოფილი იყო; წლითი-წლობით ანგარიშებს არდგენდა და საზოგადოებას არწმუნებდა, რომ სკოლა კარგ ნიადაგზეა დაფუძნებული და სწავლის საქმეც კარგად მიდისო. კომიტეტის ანგარიში ყალბი და ცრუ იყო, მაგრამ საზოგადოება ადვილად ტყუვდებოდა: კომიტეტის მოქმედებას რევიზორი არ ჰქონდა და მასწავლებლები-კი, რომელთაც საქმის ვითარება უნდა სცოდნოდათ, სდუმდნენ ჭაობში ჩათრეულები. საიდან უნდა გაეგო საზოგადოებას ჭეშმარიტება სკოლის შესახებ? ჟურნალ-გაზეთებიდანო, გვიპასუხებენ. მაგრამ როგორ? „ივერია“ ქება დიდებას უძღვნიდა კომიტეტსა და მის ერთად-ერთ მოქმედ წევრს ნ. ცხვედაძეს. ჩვენი გაზეთი არა ერთხელ ცდილა თვალი აეხილა საზოგადოებისათვის, მაგრამ ამაოდ: „სამშობლოს ბურჯნი“, რომელთაც ნიკოლოზ ცხვედაძეც ეკუთვნის, უცილობლივ ბატონობდნენ ქართულ საზოგადოების გავლენიან (კერძოსან) ნაწილზე და თამამად ჰკიცხავდნენ და ჰგმობდნენ იმათ, ვინც ხმის ამოღება გაჰბედა და „წმინდა-წმინდას“ (ბურჯების მოღვაწეობას) ხელი შეახო.

საბედნიეროდ, წლევანდელმა დღემ სკოლის საზოგადოებაც აიყოლია; სკოლის მასწავლებლებიც გამოცოცხლდნენ და გამომზეურდა კომიტეტის „მხნე და ნაყოფიერი“ მოღვაწეობა.

კომიტეტი, უფრო, რასაკვირველია, ბატონი ცხვედაძე მეტად უკმაყოფილოა ამ გარემოებით და რომ ძველი მდგომარეობა შეირჩინოს, ერთ საოცარ ხერხს მიჰმართა: სკოლის მასწავლებელნი უვიცნი უღირსნი და დაცემულნი არიან; თუ რამე გაფუჭდა, სულ მაგათი საქმეა, კომიტეტს ბრალი არა აქვსო. ასეთ ხმებს ავრცელებდნენ და ავრცელებენ ნ. ცხვედაძე და მისი მეგობრები და ამას კი ვერ მიმხვდარან, რომ თავიანთ თავს უარყოფენ: ხომ ვერ იტყვიან, რომ მასწავლებლებს სხვა ვინმე უნიშნავდა სკოლას.

საზოგადო კრებაზე კომიტეტის „პორტ-პაროლი“ ეხლა უკვე კარგად „ცნობილი“ დუმბაძე: უშვერის სიტყვებით ილანძღება, მიწასთან ასწორებს მასწავლებლებს, ბატონი ცხვედაძე იღიმება და კვერს უკრავს, თავმჯდომარე უთნელიშვილი სრულ თავისუფლებას აძლევს ბ. დუმბაძის „ენა-ზრდილობა“-ს და როცა ეს ენა-ზრდილობა სამართლიან გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს, ისევ მასწავლებელნი გამოჰყავთ დამნაშავედ და არა ცხვედაძე და უთნელიშვილი (კომიტეტის დანარჩენი წევრები სდუმან), რომელთა მფარველობის ქვეშ ასეთი შეუწყნარებელი ლაპარაკი თავისუფლად სწარმოებს.

ბატონმა დუმბაძემ ჯაშუში და სამოსწავლო მთავრობის აგენტი უწოდა სკოლის მასწავლებელს კორხანიძეს, რომელიც კრებაზედ არ იყო. ბატონმა ცხვედაძემ დაამოწმა დუმბაძის ნათქვამი: დიდი ხანია მინდოდა მისი გაგდება, მაგრამ მასწავლებლებ შორის ბევრი მომხრე ჰყავდა და გავჩერდიო. ბ. ცხვედაძეს თუ დავუჯერებთ, კორხანიძის გარდა ბევრი სხვაც ყოფილა ჯაშუში და აგენტი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში მომხრეობა საიდან უნდა გაეწიოთ ჯაშუშისათვის. ეს ნათქვამი ბატონ ცხვედაძის სინდისისათვის მიგვინდვია, მაგრამ როგორ მოხდა, რომ ასეთი დაცემული მასწავლებლები თავიდან არ მოიშორა კომიტეტმა?

ამხანაგებმა კორხანიძე გამოიწვიეს ტფილისში, რომ თავი ემართლა ამ საშინელ ბრალდებისაგან იმავ კრების წინაშე. ბ. ცხვედაძე და თვისნი მეტად აღშფოთდნენ მასწავლებლების ასეთ სულ ელემენტარულ ადამიანურ ქცევით, მოინდომეს არ მიეცათ ლაპარაკის ნება კორხანიძისათვის და ამისთვის უბრძანეს საქმის მწარმოებელს ამოეშალა ოქმიდან ის ადგილი, სადაც დუმბაძის ნალაპარაკევი იყო ჩაწერილი. დუმბაძეს არ შერცხვა საჯაროდ გამოეცხადებია— ეს არ მითქვამსო. ისედაც ნერვებ აშლილი საზოგადოება მეტად აღელვა ასეთმა კადნიერებამ და საქმე იქამდე გამწვავდა, რომ კრების გაგრძელება შეუძლებელი შეიქნა. ბ. ცხვედაძემ მოინდომა სულ შეეწყვიტა ეს კრებები და გადადო, მაგრამ საზოგადოებამ თავისი გაიტანა და 28 ისევ განაახლეს სხდომები. **W.**

P.S. ინციდენტის წინ მომხდარი სხდომა სკრის მამულის ანგარიშს მოუნდა. ასეთი გულიანი სიცილი იშვიათად გაგვიგონია და ამ გულიან სიცილის მიზეზი იყო როგორც ანგარიში (ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი), ისე ბატონ ცხვედაძის წმინდა ბავშვური თავის მართლება. საზოგადო კრებამ კომიტეტს ჩამოართვა ამ გაუბედურებულ მამულის პატრონობა და საგანგებო კომისია აირჩია მამულის ეხლანდელ მდგომარეობის გამოსაკვლევად და მის ბედის გადასაწყვეტად.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

„ცნობის ფურცლის“ მე-2848 №-ში მოთავსებულია წერილი სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის ანგარიშის გამო, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: ბ-ნი დუმბაძე სკოლის გამგეს, საქმის მწარმოებელსა და ზოგ მასწავლებლებს მძიმე ბრალსა სდებდა, განსაკუთრებით სკოლის გამგეს და საქმის მწარმოებელს. საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა იყო, „ქართული პანამა“ აღმოჩნდაო და სხვა. „პანამა“ მე არასოდეს არ მიხსენებია და არც ის ვიცი, რა მოთქმა-მოთქმა ტრიალებდა საზოგადოებაში; ვიტყვი მხოლოდ შემდეგს: როდესაც მე სათავად-აზნაურო სკოლაში ვმსახურობდი, იქ მართლაც აღმოჩნდა რამდენიმე, ჩემის აზრით, ბოროტ-მოქმედება და დაუდევრობა სკოლის მართვა-გამგეობის საქმეში, რაც ასე თუ ისე ახასიათებს სკოლის მაშინდელ ხელმძღვანელებს. ჩემი ასეთი შეხედულება თავის დროზე ვაუწყე სკოლის საპედაგოგიო საბჭოს, რომელსაც განვლილ წლის 2-ს ოქტომბერში მივმართე ქაღალდით, სადაც, სხვათა შორის, ვამბობდი: „Школа дошла до полнаго разложенія, и разложеніе это началось давно“ და სხვა.

საქმის განხილვა მიენდო კომიტეტის ზოგიერთ წევრთ, რომელთაც ვთხოვე მოეხდინათ გამოძიება იმ დრომდე, სანამ მე სკოლაში დავრჩებოდი. ხსენებული კომისია კი საქმის განხილვას შეუდგა მას შემდეგ, რაც მე სკოლას თავი დავანებე და, როგორც ამ წლის 19 ივნისის კრებაზე გამოირკვა, ჯერაც არ დაუსრულებია მუშაობა.

დ. მ. დუმბაძე.

ბ-ნო რედაქტორო!

მაისის 5-ს ახალციხის საკრებულოს დარბაზში ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოებამ გამართა ქართული წარმოდგენა საქალებო სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენილი იყო „თამარ-ბატონიშვილი“. წარმოდგენამ, რომელშიაც იღებდნენ მონაწილეობას ადგილობრივი სცენის მოყვარენი: ვ. ბეზირგანიშვილი, ნ. ლაზარიშვილისა, ე. მეფისაშვილისა, ბ. ბიბილაური, ს. ფირალიშვილი, პ. დასავლეთელი, გ. მეფისაშვილი, ა. ფედოტოვისა, მ. კახნოევი და სხვ. რიგიანად ჩაიარა. შემოსავალი წარმოდგენისა 208 მან. 35 კ. დაიხარჯა: 94 მ. 9 კ.; წმინდა შემოსავალი დარჩა საზოგადოებას—113 მ. 94 კ. სკოლის სადგომში, „რაბათში“, თებერვლის 26-ს, ქ. თ. მ. ცირულნიკოვის მეთაურობით საქალებო და სამრევლო სკოლის მოწაფეებისთვის გამართულ იქნა „შობის ხე“, რომლისთვისაც ფულად შემოსწირეს ი. ორბელიანმა 5 მ., მ. ს. ბაიბურთელმა 3 მ., ლ. ოლევსკისამ—3 მ.—11 მ., გამრეკელოვმა, მ. პავლოვმა, ს. ოლევსკიმ, კ. მარუკოვმა და №№ ორ-ორი მანეთი—10 მან., პ. ვოლტერმა, ა. დემონტეს, გ. გორინმა, ი. ლ., მ. ტამპაშევმა, ასმაროვმა და №№ თითო მანეთი—7 მან.; ა. ა., კ. პ., კ. ა.. ზ. ბენ., კარაპეტიანცმა, კონსტანტინოვმა, ვირაბოვმა, თ. ჩილინგაროვმა, კ. მანუკოვმა და №№ ათ-ათი შაური 5 მან. და სხვებმა, უსახელოთ 2 მ. 90 კ., სულ 36 მ. 90 კ. ამ ფულით იყო ნაყიდი საბავშო სათამაშოები და ხილი; ხილი და შემოწირული სათამაშოები აკიდებული იყო მშვენიერ შობის ხეებზე, რომელიც შემოსწირეს ადგილობრივ მემამულემ ვ. ბეზირგანიშვილმა და პოლიციის ბოქაულმა ა. ალბერტოვმა. საღამოს შვიდ საათზე, როდესაც გათავდა სამუსიკო-ლიტერატურული განყოფილება, შესრულებული მოწაფეების მიერ, სათამაშოები ხილი დაურიგეს ორივე სკოლის მოწაფეებს. ბავშვების სიხარულს და სიამოვნებას საზღვარი არა ჰქონდა მით უმეტეს, რომ ეს სიამოვნება ნახეს იმ დროს იქ მყოფმა თითქმის ყველა მათმა მშობლებმა. ახალციხის საქველ-მოქმედო საზოგადოების საქალებო სკოლაში წრეულ დაამთავრეს სწავლა 11 მოწაფე ქალმა. ამათი გვარები: კოცოტი რ., დიდიმამაშვილი ვ., მამულაშვილი ნ., სარიაშვილი ს., კალანჟაშვილი ოდ., სემუშინა კ., მეფისაშვილი ც., მანველაშვილი ნ., ლონდარიძე ბ.. კეთრაშვილი რ. და შულუხა ბ. სკოლა დაარსებულია 1869 წელს ნეტარ-სახსენებელ ანნა მუსხელაშვილის (ბესარიონ ლოლობერიძის ასული) მეცადინეობით და თითქმის ამ 36 წ. სცოცხლობს მარტოდ-მარტო ადგილობრივ საქველ-მოქმედო საზოგადოების მოღვაწეობით, რომელსაც ხელი შეუწყო ამ უკანასკნელ სამ წელიწადს ბ-ნ ა. ყიფშიძის მეცადინეობით პატივცემულმა ტფილისის თავად-აზნაურობამ თავის უხვი შემოწირულებით.

საზოგადოების სახელით მადლობას ვუძღვნით ყველა იმათ, ვინც [illegible] შრომით და შემოწირულობით ხელი შეუწყო წარმოდგენას და „შობის-ხის“ გამართვას.

საზოგადოების მდივანი **ივ. ლაზრიშვილი.**

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 ივნისი.

ტოკიო, 27 ივნისი. მიშჩენკოს პოზიციები უჭირავს ლიენხუანპანსა და ტამპინჩოს შორის. ჩანტუსთან მეზობლად მდგომ რუსის რაზმს მაშველები მოუვიდათ. „კოკუმინ“-ს მოჰყავს ერთ ოფიცრის სიტყვები, რომ რუსებმა სრულებით შესცვალეს ჯარების სადგომი ადგილები და ჩანჩუნგირინის გზებზე მხოლოდ რამდენიმე რაზმი დასტოვეს. მთავარ დამცველი ადგილი ფენგვა-ხაილუნჩენის მიდამო არის. ყველაზე მეტი ჯარი კუენგატენთან ჰყავთ რუსებს, 25 მილზე ფენგვას აღმოსავლეთით.

ვლადივოსტოკი, 27 ივნისი. ვაშინგტონში წავიდა იაპონიის ყოფილი საზღვაო აგენტი სუოინი, რათა მონაწილეობა მიიღოს ზავის შესახებ გამართულ მოლაპარაკებაში.

პეტერბურგი, 27 ივნისი (გაგრძელება). სათანადო დაკანონებათა შესაცვლელად და შესავსებლად დადგენილ იქნა: 1) შინაგან საქმეთა მინისტრს ნება ეძლევა საზოგადო წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცველად, თუ საჭირო იქნება, მიანდოს სენატის პირველ დეპარტამენტს ისეთ პერიოდულ გამოცემის შეწყვეტის საქმე, რომელიც წინასწარ ცენზურით გამოდის ან თავისუფალია მისგან, თუნდაც გაფრთხილებაც არ მიეცეთ მისთვის. ამასთანავე მინისტრს ნება აქვს საკუთარის უფლებით შეაჩეროს გამოცემა, სანამ სენატი მოახდენდეს განკარგულებას; 2) თუ მარტოკა განცხადებებიანი გამოცემა ერთისაგან მეორის ხელში გადადის, გუბერნატორს თავის დროზე უნდა აცნობონ როგორც ძველის ისე ახალ გამომცემლის ვინაობა.

პეტერბურგი, 27 ივნისი. ოფიციალური. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით ხოლერისა და ჟამის შესახებ გამოცემულ წესებს შემდეგი უნდა დაემატოს: საგუბერნიო სასანიტარო აღმასრულებელ კომისიების წევრებად, მეცხრე მუხლში მოხსენებულ პირებს გარდა, შეუძლიანთ იყვნენ საგუბერნიო საქიმო ინსპექტორის თანაშემწე, ადგილობრივ საქალაქო, საერობო და სხვა საავადმყოფოთა უფროსი ექიმები, სასანიტარო ექიმები და ექიმ-ბაქტერიოლოგები. სამაზრო სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიების წევრებათ ირიცხებიან მაზრის ყველა საერობო ექიმები, თუ სხდომები სადაც იმართება, იმ ადგილებში იმყოფებიან. საქალაქო სასანიტარო-აღმასრულებელ კომისიის წევრებად, მათე მუხლსა და ამ მუხლის შენიშვნაში მოხსენებულ პირთ გარდა, ირიცხებიან, სატახტო ქალაქებში პოლიციის უფროსი ექიმი, საავადმყოფოების ყველა უფროსი ექიმები, ბაქტერიოლოგები და სასანიტარო ექიმები ქალაქების გამგეობათა დანიშვნით, დანარჩენ ქალაქებში კი საავადმყოფოების უფროსი ექიმები, ყველა სასანიტარო ექიმები და ბაქტერიოლოგები.

მოსკოვი, 27 ივნისი. მოსკოვის გენ.-გუბერნატორმა დეპეშით აცნობა ყველა იმ გუბერნიების გუბერნატორებს, სადაც ერობაა შემოღებული, გააფრთხილეთ საერობო მოღვაწენი არ წამოვიდნენ 6 ივლისისთვის საერთო საერობო სიეზდზე მონაწილეობის მისაღებად, ვინაიდან ეს სიეზდი არ მოხდებაო.

ბერლინი. რადოლინისა და რუვიეს მიერ შემუშავებული საფუძველი მომავალ კონფერენციისა შემდეგს შეიცავს: სულთანის სუვერენიტეტი და დამოუკიდებულება, ტერიტორიის ხელ-უხლებლობა, სრული ეკონომიური თავისუფლება და პოლიციური და საფინანსო რიცთოხალური რეფორმები, რომელნიც უნდა განხორციელდნენ საერთაშორისო შეთანხმებით.

პეტერბურგი. გამოქვეყნდა ახალი კანონი სახელმწიფო ბანკის ანგარიშების განხილვის წეს-რიგის შესახებ. განხილვა უნდა მოახდინონ სახელმწიფო კონტროლმა და ბანკის საბჭოს საგანგებო კომისიამ. შემდეგ ანგარიშზე სჯაბაას იქონიებს ბანკის საბჭო და გადაგზავნის სახელმწიფო კონტროლს არა უგვიანეს ანგარიშის მომდევნო წლის პირველ აგვისტოსა. სახელმწიფო კონტროლი თავის აზრს წარადგენს სახელმწიფო საბჭოში და შეატყობინებს ფინანსთა მინისტრს არა უგვიანეს 1 სექტემბრისა; მინისტრს ანგარიში შეაქვს სახელმწიფო საბჭოში არა უგვიანეს 31 დეკემბრისა. ახალი კანონი ძალაში 1905—1907 წლებს შევა.

ვარშავა, 27 ივნისი. გაიფიცნენ პურის მცხობელნი. ქუჩების მომკირწყვლებმა ვერ მოახერხეს გაფიცვა.

ოდესა, 28 ივნისი. გაირჩა საქმე ცეცხლის გაჩენის დროს ქურდობის ჩადენის შესახებ. გაამართლეს 30 კაცი, 6-ს კი 1½—3 თვის ციხე მიუსაჯეს.

პეტერბურგი, 27 ივნისი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭომ შემდეგ დაადგინა: 1. ძირითად სახელმწიფო კანონების ჭეშმარიტ აზრის დასამტკიცებლად და სხვა სათანადო დაკანონებათა შესაცვლელად და შესავსებლად, შემდეგი წესები იქნას შემოღებული: ა) ახალ კანონების გამოცემა, ამასთანავე დროებითი წესებისაც, რომელთაც კანონის მნიშვნელობა აქვთ და აგრეთვე შეცვლა, შევსება, მოქმედების შეჩერება, გაუქმება და კანონების ჭეშმარიტ აზრის განმარტება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონმდებლობითის გზით, სახელმწიფოს ძირითად კანონებისამებრ დადგენილით: ბ) თუ რა სახით უნდა შესრულდეს კანონები, ეს უმაღლესის ბრძანებით იქნება დადგენილი: გ) უმართებლეს სენატის ვალდებულებაა არ მისცეს ნება საკანონმდებლო დადგენილებების გამოქვეყნების, თუ მათის გამოცემის წეს-რიგი არ შეესაბამება ძირითად კანონების წესებს; დ) მინისტრებმა სენატს უნდა მოახსენონ იმ ზომების შესახებ, რა ზომებსაც იგინი იხმარენ საგანგებო შემთხვევებში; აგრეთვე მინისტრები მოხსენებას გზავნიან სენატში იმ ზომების შესახებ, რომელნიც მით მიიღეს უმაღლესის ბრძანებით; ე) თუ საგანგებო შემთხვევებში მიღებული ზომები (მუხ. დ.) შეიცავენ ისეთ დადგენილებებს, რომელნიც არ არიან წინასწარ გათვალისწინებული კანონებით და მათი მოქმედება საჭიროა დარჩეს 6 თვეზე მეტ ვადით შემთხვევაში სათანადო მინისტრი, ამ ვადის გასვლამდე, ვალდებულია მოხსენება შეტანოს, რათა ამისთანა საგნების შესახებ კანონი იქნეს გამოცემული. 2. ძირითად კანონებში შემდეგი ცვლილება უნდა მოხდეს: ა. მე-55-ე მუხლი ასე უნდა შეიცვალოს: კანონების შესრულების რიგი დადგენილ იქნება მხოლოდ უმაღლესის ბრძანებით; 2. გამორიცხულ იქნას მე-53-ე მუხლში მოთავსებული შენიშვნა უმაღლესად დამტკიცებულ მოხსენებების შესახებ. 3. მე-80-ე მუხლს შემდეგი მიემატოს; უმაღლესი ბრძანება შეიძლება გამოიცეს მოხსენებების რესკრიპტების და ბრძანებების სახით.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

28 ივნისი

ლონდონი. ხმებია, რომ რუსეთმა ჰამბურგში 15 დიდი გემი იქირავა, რითა უკან გადმოიყვანოს რუსის ტყვეები იაპონიიდან.

გუნჯულინი. იაპონელებმა სისრულეში მოიყვანეს ის ოპერაციები, რასაც დიდი ხანია მოველოდით სახალინზე. ყველა ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან შევირჩინოთ სახალინი რადგანაც ფლოტი არა გვაქ. აქ ცვლილება არ არ მომხდარა.

პეტერბურგი. სამსახურიდან იქნა დათხოვნილი სამთო ინსტიტუტის დირექტორი კონვალოვი.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნი, სამჭედლო და სალესრო სამუშაოებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190 ოქროევისა. (30—3)

იყიდება მეწვრიმლის დუქანი
თავის საყასპოთი
ადრესი: ვაგზლის დიდი ქ. № 14 ნ. ნადიროვი. (2—2)

✦ კბილებს ✦
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაზორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—4)

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ლოკშ-ველბორდტი გადავიდა ხაზინის ქუჩ. № 7 ს. კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—8)

საბუხჰალტერო და საკანტორო
საქმეების კურსები
ტფილისის საკომერციო სასწავლებელში.
(წელიწადი მეექვსე)
კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას, საკომერციო არითმეტიკას, საკომერციო მიწერ-მოწერას და სავაჭრო წესს.
სწავლა იწყება 1905 წლის 15 სექტემბრიდან. მთელი კურსი 6 თვეზე ნაკლებ ხანს არ გასტანს. საღამოობით მეცადინეობა სამჯერ არის კვირაში. მსმენელებად შეუძლიანთ იყვნენ ორივე სქესის ნასწავლი პირნი. მთელის კურსის ფასი 40 მანეთია.
თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელობაზე მიიღება ყოველ დღე, დილის 10-დან 1 საათამდის სასწავლებლის კანცელარიაში. (4—251—4)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

პირველი
კუბოს მაღაზია
გიორგი კიკნაძისა

ყველა ნაირი მოწყობილება, რაც კი ეჭირვება კუბოებს. ვიღებ შემოკვეთას, რასაც ვასრულებთ სუფთათ და იაფათ. ვანქის დიდი ქუჩა „ცნობის ფურცლის“ რედაქციის გვერდით. (0—5)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა
შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ სავაჭრო ნიშანს
ნარდად გაყიდვა
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“
საქონლისა სწარმოებს ერევნის მოედანზე. ტელეფონი № 346. იქვეა მრა
ტყავეულობა
რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა (60—6—52)

Доз. цен. Тифлисъ, 28 Iюня 1905 г.
печ. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბ. მომ. ბ—ს